პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 36-ე წელი № 288 (10374) | ხუთშაბათი, 8 დეკემბერი, 1955 წ. | ფასი 20 კაპ.

## დ ღ ე ს ნ ო მ ე რ შ ი ა:

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის ნ. ს. ხრუშჩოვისა და ბირმის კავშირის პრემიერ-მინისტრის უ ნუს ერთობლივი განცხადება (1-ლი გვერდი).

ხელი მოაწერეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის ნ. ს. ხრუშჩოვისა და ბირმის კავშირის პრემიერ-მინისტრის უ ნუს ერთობლივ განცხადებას (1-ლი გვერდი).

საინფორმაციო ცნობა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ (1-ლი გვერდი).

ნ. ა. ბულგანინი და ნ. ს. ხრუშჩოვი ბირმაში (1-ლი და მე-2 გვერდი).

ნ. ა. ბულგანინი და ნ. ს. ხრუშჩოვი ბირმიდან გაემგზავრნენ (მე-2 გვერდი).

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში (მე-3 გვერდი).

რაიონული პარტიული კონფერენციები (მე-3 გვერდი).

დ. ლომთაძე. — ლაჯანურჰესის მშენებლობა (მე-3 გვერდი).

გ. ჩანგაშვილი. — ანტარქტიკის კომპლექსური ექსპედიცია (მე-4 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

# სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის ნ. ს. ხრუშჩოვისა და ბირმის კავშირის პრემიერ-მინისტრის უ ნუს ერთობლივი განცხადება

ბირმის კავშირის მთავრობის მოწვევით საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ბულგანინი და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ნ. ს. ხრუშჩოვი კეთილი ნების ვიზიტით იყვნენ ბირმის კავშირში 1955 წლის 1-7 დეკემბერს. ბირმაში ყოფნის დროს ნ. ა. ბულგანინსა და ნ. ს. ხრუშჩოვს რამდენიმე საუბარი ჰქონდათ ბირმის კავშირის პრემიერ-მინისტრ უ ნუსთან. ამ საუბრებმა, რომლებიც მიმდინარეობდა დიდი გულითადობისა და სრული ურთიერთგაგების სულისკვეთებით, საშუალება მისცა მათ ფართოდ გაეზიარებინათ ერთმანეთისათვის შეხედულებანი როგორც საკითხებზე, რომლებიც წარმოადგენენ ურთიერთ ინტერესსა და სარგებლობას ორივე ქვეყნისათვის, ისე საერთაშორისო მნიშვნელობის ზოგიერთ გადაუდებელ პრობლემაზეც.

ამ საუბრების მსვლელობაში ერთხელ კიდევ ხაზგასმით აღინიშნა, რომ საბჭოთა კავშირისა და ბირმის კავშირის ურთიერთობა, რომელიც მუდამ გულწრფელი და მეგობრული იყო, ემყარება და დაემყარება ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის ურთიერთპატივისცემის, თავდაუსხმელობის, ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის, თანასწორობისა და ურთიერთსარგებლობის, მშვიდობიანი თანაარსებობისა და ეკონომიური თანამშრომლობის მტკიცე პრინციპებს. ორივე ქვეყნის სახელმწიფო მოღვაწენი დარწმუნებული არიან, რომ მშვიდობიანი თანაარსებობის ამ პრინციპების სულ უფრო მზარდი გამოყენება სახელმწიფოების — დიდი და პატარა სახელმწიფოების — ურთიერთობაში სამსახურს გაუწევს მშვიდობის განმტკიცებასა და ხალხთა კეთილნაყოფიერი თანამშრომლობის განვითარებას. ისინი გამოთქვამენ კმაყოფილებას იმის გამო, რომ სულ უფრო და უფრო მეტი მშვიდობისმოყვარე სახელმწიფო და ხალხი აღიარებს და იღებს ამ პრინციპებს, რომლებიც ხელს უწყობენ მშვიდობისა და ხალხთა კეთილდღეობის ინტერესებს.

გამოთქმული იყო რწმენა, რომ მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპები დიდ შესაძლებლობებს ქმნიან საბჭოთა კავშირისა და ბირმის კავშირის თანამშრომლობისათვის ეკონომიკის, კულტურის, მეცნიერებისა და ტექნიკის დარგებში. გამოთქმული იყო აგრეთვე გადაწყვეტილება განახორციელონ ყოველგვარი ღონისძიებანი, რათა განავითარონ და განამტკიცონ ორივე ქვეყანას შორის ამ დარგებში უფრო მჭიდრო ურთიერთობა, რაც შეესაბამება საბჭოთა კავშირისა და ბირმის კავშირის ხალხთა ინტერესებს და ხელს შეუწყობს მშვიდობისა და საერთაშორისო სტაბილობის განმტკიცებას. ამასთან დაკავშირებით ორივე ქვეყნის სახელმწიფო მოღვაწეები შეთანხმდნენ, რომ მათს წარმომადგენლებს შორის უნდა გაგრძელდეს მოლაპარაკება სხვადასხვა საკითხზე, რათა დაიდოს კონკრეტული შეთანხმებანი.

მსოფლიოს ხალხთა მისწრაფებამ და ღონისძიებებმა მშვიდობისა და მეგობრული თანამშრომლობის დასამყარებლად და, კერძოდ, ამა წლის აპრილში გამართულმა ბანდუნგის კონფერენციამ, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სახელმწიფოებმა, რომლებსაც სხვადასხვა პოლიტიკური და სოციალური სისტემები აქვთ, მაგრამ გაერთიანებული არიან ეკონომიური, კულტურული და პოლიტიკური თანამშრომლობის შემდგომი განვითარების საერთო მიზნით, ცხადყო, რომ გაგება და თანამშრომლობა ხალხებს შორის სავსებით შესაძლებელია, და ხელსაყრელი ატმოსფერო შექმნა იმისათვის, რომ წარმატება ჰქონოდა ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების ჟენევის კონფერენციას, რომელსაც მოჰყვა სახელმწიფოების ურთიერთობაში დაძაბულობის შესამჩნევი შენელება. მიღწეულია სრული თანხმობა იმის შესახებ, რომ დაძაბულობის შენელება, რომლის მიღწევაც უკვე მოხერხდა, უნდა განმტკიცდეს, რომ უნდა გადაიდგას ნაბიჯები საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომი შენელებისათვის. ორივე ქვეყნის სახელმწიფო მოღვაწეებმა გამოთქვეს რწმენა, რომ, თუმცა საგარეო საქმეთა მინისტრების ჟენევის თათბირმა ვერ მიაღწია შეთანხმებულ გადაწყვეტილებებს ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების დირექტივებში დასახულ პრობლემებზე, საჭიროა შემდგომი ღონისძიებანი, რათა გამოინახოს ამ პრობლემების გადაჭრა მშვიდობის ინტერესებისათვის.

საბჭოთა კავშირისა და ბირმის კავშირის სახელმწიფო მოღვაწეები დიდ შეშფოთებას გამოთქვამენ გამალებული შეიარაღებისა და განსაკუთრებით ატომური, წყალბადისა და მასობრივი მოსპობის სხვა სახეობათა იარაღის დაგროვების გამო, რაც წლითიწლობით სულ უფრო ფართო ოდენობით ხორციელდება. რათა აღმოფხვრან შიში და აღკვეთონ მატერიალურ ფასეულობათა და უამრავი ადამიანის სიცოცხლის მოსპობის პერსპექტივა, მათ მიაჩნიათ, რომ ატომგულისა და თერმოატომგულის იარაღის წარმოება, გამოცდა და გამოყენება უთუოდ უნდა აიკრძალოს, რომ უნდა განხორციელდეს ჩვეულებრივი შეიარაღების არსებითი შემცირება და რომ უნდა დაწესდეს ეფექტიანი საერთაშორისო კონტროლი ამ ღონისძიებათა განხორციელებისადმი. მათ აუცილებლად საჭიროდ მიაჩნიათ, რომ ამ მიზნის განხორციელებისათვის მიღებულ იქნას გადამწყვეტი ღონისძიებანი. მათ კვლავ დაადასტურეს ერთსულოვანი აზრი, რომ ბლოკების შექმნის პოლიტიკა უნდა დაიგმოს, რამდენადაც იგი წარმოშობს შიშსა და უნდობლობას ხალხებს შორის, რომ მხოლოდ ასეთ ბლოკებში მონაწილეობის მიუღებლობის პოლიტიკა უწყობს ხელს ნდობისა და კეთილი ნების დამყარებას სახელმწიფოებს შორის, შეაქვს რა, ამრიგად, წვლილი მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის საქმეში. ისინი დარწმუნებული არიან, რომ საერთაშორისო მშვიდობის განმტკიცება და იმის უზრუნველყოფა, რომ ხალხებს ჰქონდეთ თავიანთი მომავლის რწმენა, შეიძლება მიღწეულ იქნას არა ბლოკების შექმნის გზით, არამედ მხოლოდ ყველა ხალხის ერთობლივი და კოლექტიური ღონისძიებებით.

ინდოჩინეთში პოლიტიკური მოწესრიგების პრობლემა ჟენევის თათბირის გადაწყვეტილებათა შესაბამისად დაუყოვნებლივ უნდა გადაიჭრას. კორეის გაერთიანების საკითხი, აგრეთვე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისათვის ტაივანისა და სხვა კუნძულების დაბრუნების საკითხი, რომლებიც ჩინეთის ძველისძველ ტერიტორიას წარმოადგენენ, დაუყოვნებლივ უნდა გადაიჭრას, რათა შორეულ აღმოსავლეთში შენელდეს დაძაბულობა და განმტკიცდეს მშვიდობა. ამ პრობლემების გადაჭრა ხელს შეუწყობს საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებას.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პრესტიჟისა და მნიშვნელობის ამაღლების მიზნით ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ უნდა დაიკავოს თავისი კანონიერი ადგილი ამ ორგანიზაციაში. რათა მიღწეულ იქნას ეფექტიანი საერთაშორისო თანამშრომლობა მშვიდობისა და პროგრესის მიზნით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრობა უნდა იყოს საყოველთაო და ამ ორგანიზაციაში უნდა დაუშვან ყველა ის ქვეყანა, რომელიც აკმაყოფილებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პირობებს. ითვალისწინებენ რა ამას, საბჭოთა კავშირის მთავრობა და ბირმის კავშირის მთავრობა მხარს უჭერენ კანადის წინადადებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში იმ 18 ქვეყნის მიღების შესახებ, რომლებმაც შეიტანეს განცხადება მიღების თაობაზე.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრსა და ბირმის კავშირის პრემიერ-მინისტრს მიაჩნიათ, რომ ხალხთა შორის ურთიერთგაგებისა და ნდობის განმტკიცების ეფექტიანი გზაა პირადი კონტაქტების დამყარება და მოლაპარაკება ხელმძღვანელებს შორის, რასაც მოჰყვება შეთანხმებისა და მეგობრული ურთიერთობის მიღწევა თვით ხალხებს შორის.

| | |
|---|---|
| სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ნ. ბულგანინი** | ბირმის კავშირის პრემიერ-მინისტრი **უ ნუ** |

1955 წლის 6 დეკემბერი.

# ხელი მოაწერეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის ნ. ს. ხრუშჩოვისა და ბირმის კავშირის პრემიერ-მინისტრის უ ნუს ერთობლივ განცხადებას

რანგუნი, 6 დეკემბერი. (საკდესი). დღეს აქ ხელი მოაწერეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის ნ. ს. ხრუშჩოვისა და ბირმის კავშირის პრემიერ-მინისტრის უ ნუს ერთობლივ განცხადებას.

ერთობლივი განცხადების ხელმოწერას საბჭოთა კავშირის მხრივ დაესწრნენ ა. ა. გრომიკო, პ. ნ. კუმიკინი, დ. რ. რასულოვი, ზ. რახიმბაბაევა, ი. ა. სეროვი და სსრ კავშირის ელჩი ბირმაში ა. დ. შჩიბორინი.

ბირმის მხრივ დაესწრნენ: საგარეო საქმეთა მინისტრი საო კუნ ჩო, მრეწველობის მინისტრი უ ჯო ნეინი, თავდაცვის მინისტრი უ ბა სვე, ვაჭრობის მინისტრი უ რაშიდი, შინაგან საქმეთა მინისტრი ბო კინ მაუნგ გალე, მიწის ნაციონალიზაციის მინისტრი ტაკინ ტინი, ინფორმაციის მინისტრი უ ტუნ ვინი, ბირმის ელჩი სსრ კავშირში უ მონგ ონი, პრემიერ-მინისტრის მდივანი უ ტანი.

# ნ. ა. ბულგანინი და ნ. ს. ხრუშჩოვი ბირმაში

## პოლიტიკური მიტინგი რანგუნში

რანგუნი, 6 დეკემბერი. (**საკდესის სპეც. კორ.**). დღეს დილით რანგუნის მუნიციპალიტეტის სხდომათა დარბაზში, რომელიც მორთული იყო საბჭოთა კავშირისა და ბირმის კავშირის ალმებით, გაიმართა ბირმელი და საბჭოთა ხალხების მეგობრობისადმი მიძღვნილი პოლიტიკური მიტინგი. მიტინგი მოაწყო ხალხის თავისუფლების ანტიფაშისტურმა ლიგამ.

დარბაზის ტრიბუნის თავზე გაკეთებულია თალი წარწერით ბირმულ და რუსულ ენებზე: „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირ-ბირმის მეგობრობას!“

დარბაზში შემოდიან ნ. ა. ბულგანინი, ნ. ს. ხრუშჩოვი და ბირმის პრემიერ-მინისტრი უ ნუ, რომლებსაც დამსწრენი მქუხარე ტაშით ხვდებიან.

ნ. ა. ბულგანინი, ნ. ს. ხრუშჩოვი და უ ნუ გადიან აივანზე, სადაც მათ მიესალმა მუნიციპალიტეტის შენობის წინ შეკრებილი ათასობით ბირმელი. შემდეგ ნ. ა. ბულგანინი, ნ. ს. ხრუშჩოვი და უ ნუ ბრუნდებიან დარბაზში, მიდიან პრეზიდიუმის მაგიდასთან. პრეზიდიუმის მაგიდასთან ადგილებს იკავებენ პირები, რომლებიც ნ. ა. ბულგანინსა და ნ. ს. ხრუშჩოვს ახლავან ბირმაში მოგზაურობისას, და ხალხის თავისუფლების ანტიფაშისტური ლიგის ლიდერები.

სიტყვა ეძლევა ბირმის კავშირის პრემიერ-მინისტრს უ ნუს, რომელიც გამოდის როგორც ხალხის თავისუფლების ანტიფაშისტური ლიგის თავმჯდომარე.

## პრემიერ-მინისტრ უ ნუს სიტყვა

ამხანაგებო ხრუშჩოვ, ბულგანინ, მეგობრებო! ნება მიბოძეთ ხალხის თავისუფლების ანტიფაშისტური ლიგის სახელით როგორც მისმა თავმჯდომარემ უაღრესი გულითადობით მოგესალმოთ თქვენ, ამხანაგებო ხრუშჩოვ და ბულგანინ, ამ პოლიტიკურ კრებაზე. წარსულში ჩვენი ქვეყნის ყველა პოლიტიკური მიმართულების ადამიანებს საშუალება ჰქონდათ მხოლოდ წაეკითხათ საბჭოთა ხელმძღვანელების მიერ გამოთქმული აზრები და განცხადებანი, მაგრამ ახლა მათ შეუძლიათ აქ უშუალოდ მოგისმინონ თქვენ, და ამიტომ საჭირო აღარ არის ვთქვა, თუ რაოდენ მადლობელი ვარ თქვენი, ჩემო პატივცემულო მეგობრებო, იმისათვის, რომ გვაძლევთ ამ იშვიათ შესაძლებლობას.

ხალხის თავისუფლების ანტიფაშისტური ლიგა, რომელმაც მოაწყო ეს მიტინგი, დაარსდა 1944 წელს განსვენებული ბოჯოუკის (მთავარსარდლის. — **საკდესის სპეც. კორ. შენიშვნა**) აუნგ სანის შესანიშნავი ხელმძღვანელობით, როცა ბირმა ჯერ კიდევ ოკუპირებული იყო იაპონიის მიერ. ლიგის მთავარი მიზანი იყო მოეწყო წინააღმდეგობა ფაშისტებისადმი და გაედევნა ჩვენი ქვეყნიდან ყოველგვარი ფორმის ფაშიზმი. როცა ამ მიზანს მივაღწიეთ, ლიგა კვლავ მეთაურობდა საერთო-სახალხო ბრძოლას სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობისათვის. ამ სახელოვანი ბრძოლის დროს ჩვენი საყვარელი ბოჯოუკ აუნგ სანი და ზოგიერთი ჩემი პატივცემული კოლეგა დაიღუპნენ მკვლელის ხელით, მაგრამ ჩვენ განვაგრძობდით ბრძოლას და 1948 წლის იანვარში მივაღწიეთ დამოუკიდებლობას. მას შემდეგ ხალხმა პოლიტიკური ხელისუფლება მიანდო ლიგას, რომელიც აშენებს ახალ ბირმას, მიუხედავად მრავალი დაბრკოლებისა, რომლებიც ზოგჯერ გადაულახავად გვეჩვენებოდა. ამჟამად ჩვენი გზა თითქმის თავისუფალია, და ჩვენ გვწამს, რომ ჩვენი მისწრაფების მიზანი — „პიდოტა“ (აყვავებული სახელმწიფო) მიღწეულ იქნება არც თუ ისე შორეულ მომავალში.

მე არ დაგღლით, ჩემო პატივცემულო მეგობრებო, ლიგის მოღვაწეობის ფაქტების ჩამოთვლით, რადგან დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ იცნობთ ამ ფაქტებს. ამიტომ ჩემი სასიამოვნო მოვალეობა ახლა იქნება ის, რომ გავაცნო ამ დარბაზში მყოფთ ჩვენი საპატიო სტუმრები. ფაქტიურად არ არის საჭირო არავითარი გაცნობა, რამდენადაც აქ შეკრებილთა უმრავლესობა იცნობს ჩვენი ორი საპატიო სტუმრის ცხოვრებასა და მოღვაწეობას. მაგრამ იმისათვის, რომ ჯეროვანი პატივი დავდოთ მათ და გულწრფელი მადლობა ვუძღვნათ მათი დამსახურებისათვის როგორც საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის წინაშე, ისე მთელი მსოფლიოს მშვიდობის დაცვის საქმეში, ნება მიბოძეთ რამდენიმე სიტყვა ვთქვა მათ გასაცნობად.

ამხანაგი ხრუშჩოვი არის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გამოჩენილი ხელმძღვანელი, ვ. ი. ლენინის ერთგული მოწაფე და ი. ბ. სტალინის ერთ-ერთი უახლოესი თანამებრძოლი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი.

ამხანაგი ხრუშჩოვი დაიბადა მუშის ოჯახში 1894 წელს. განათლება მიიღო მუშფაკში. 1929 წელს იგი აირჩიეს ი. ბ. სტალინის სახელობის სამრეწველო აკადემიის პარტორგანიზაციის მდივნად მოსკოვში. მას შემდეგ მისი ნიჭი და შრომისმოყვარეობა აღიარებულ იქნა და 1932-34 წლებში იგი მუშაობდა პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მეორე, ხოლო შემდეგ პირველ მდივნად. 1935 წელს იგი აირჩიეს პარტიის მოსკოვის საოლქო და საქალაქო კომიტეტების პირველ მდივნად. მერე უკრაინის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად და უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ მუშაობის შემდეგ, ამხანაგი ხრუშჩოვი აირჩიეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნად. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე 1953 წლის სექტემბერში ამხანაგი ხრუშჩოვი არჩეულ იქნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად და ახლა ღირსეულად მუშაობს ამ პოსტზე. (**ტაში**).

ამხანაგი ბულგანინი არის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე. მისი ბიოგრაფიაც მდიდარია შესანიშნავი სამსახურის ფაქტებით. იგი დაიბადა 1895 წელს მოსამსახურის ოჯახში. 1917 წელს იგი შევიდა კომუნისტური პარტიის რიგებში. მას შემდეგ მთელი მისი ცხოვრება დაკავშირებულია კომუნისტურ პარტიასთან. 1918-დან 1922 წლამდე მას ეკავა მთელი რიგი პასუხსაგები პოსტები სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის ორგანოებში. 1922-დან 1927 წლამდე ამხანაგი ბულგანინი იყო პასუხსაგებ სამუშაოზე სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ორგანოებში. 1931 წლის ივლისში ამხანაგი ბულგანინი აირჩიეს მოსკოვის საბჭოს თავმჯდომარედ.

ბრწყინვალედ გამოიჩინა რა თავი მთელ რიგ პასუხსაგებ პოსტებზე, იგი 1938 წელს დაინიშნა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ. ამხანაგ ბულგანინს ეკავა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილისა და თავდაცვის მინისტრის პოსტები, ხოლო 1955 წლის 8 თებერვალს იგი დაინიშნა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ. 1934 წლიდან იგი არის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი და ამჟამად — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი. (**ტაში**).

* * *

დასასრულ პრემიერ-მინისტრმა უ ნუმ სიტყვა მისცა ნ. ს. ხრუშჩოვს.

## ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა

ძვირფასო მეგობრებო, პატივცემულო რანგუნის მოქალაქენო!

ჩვენ ბედნიერი ვართ მოგესალმოთ თქვენ და თქვენი სახით მთელ ბირმელ ხალხს, გადავცეთ მას საბჭოთა კავშირის ხალხთა სახელით მხურვალე მეგობრული სალამი და ვუსურვოთ შემდგომი წარმატებანი თავისი ქვეყნის სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის განმტკიცების საქმეში. (**მქუხარე ტაში**).

თქვენს ქვეყანაში ყოფნის დროს ჩვენ ვნახეთ მთელი რიგი ქალაქები და ისტორიული ადგილები. ჩვენ ყველგან გულთბილი და გულითადი მიღება მოგვიწყეს. ჩვენ მადლობას ვუძღვნით ბირმელ ხალხს მეგობრული გრძნობების გამოვლინებისათვის, რომლებითაც იგი გამსჭვალულია საბჭოთა კავშირის ხალხებისადმი. (**მქუხარე ტაში**).

ამას წინათ ბირმის პრემიერ-მინისტრი ამხანაგი ნუ ეწვია საბჭოთა კავშირს კეთილი ნების ვიზიტით. საბჭოთა ადამიანებმა გულთბილი და გულითადი შეხვედრა მოუწყეს მას. ამხანაგი ნუ და მისი თანმხლები პირები პირადად დარწმუნდნენ, რომ საბჭოთა კავშირის ხალხებიც გამსჭვალული არიან დიდი სიმპათიისა და მეგობრობის გრძნობებით ბირმის ხალხებისადმი. (**ტაში**).

საბჭოთა ხალხი ყოველთვის უჭერდა მხარს მორალურად ბირმელ ხალხს მის კეთილშობილურ ბრძოლაში კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ, თავისი თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. მეორე მსოფლიო ომის წლებში ბირმელი ხალხი მძიმე ბრძოლას აწარმოებდა იაპონელი იმპერიალისტების წინააღმდეგ. ეს ბრძოლა ინტერვენტების განდევნით დამთავრდა. ამ ომის დამთავრების შემდეგ ბირმელმა ხალხმა მტკიცედ გაილაშქრა კოლონიზატორთა ცდის წინააღმდეგ — აღედგინათ უცხოელთა ბატონობა თქვენს ქვეყანაში. იბრძოდა რა თავისი სამშობლოს ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, მან გამარჯვება მოიპოვა. (**ტაში**).

როცა ბირმელმა ხალხმა კოლონიური უღელი მოიშორა, საბჭოთა კავშირმა ერთ-ერთმა პირველმა ცნო ბირმის კავშირის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და მეგობრული ურთიერთობა დაამყარა თქვენს ქვეყანასთან. (**ტაში**).

ამხანაგ ნუს მოსკოვში ყოფნის დროს მას და ჩვენი სახელმწიფოს ხელმძღვანელებს შორის მოხდა აზრთა ფართო გაცვლა იმ საკითხებზე, რომლებიც ორივე ქვეყანას აინტერესებს, აგრეთვე ზოგიერთ საერთაშორისო პრობლემაზე. ეს აზრთა გაცვლა გაგრძელდა ბირმაში ჩვენი ყოფნის დროს. ამ მოლაპარაკების მსვლელობაში გამოირკვა შეხედულებათა ერთობა თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობის მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს საკითხებზე, მათ შორის მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების საკითხებზე. (**ტაში**).

მოლაპარაკებისა და შეთანხმების გზა, რომელიც მშვიდობისმოყვარე ქვეყნებმა აირჩიეს, ნათლად ამტკიცებს, რომ ეს არის ერთადერთი სწორი გზა, რომელიც უზრუნველყოფს ხალხთა ნამდვილ უშიშროებას.

მსოფლიოში ამ უკანასკნელი წლების მანძილზე უდიდესი ცვლილებები მოხდა. ჩაგრული ხალხების დაუძლეველი მისწრაფება დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისადმი დროების ნიშანი გახდა. კოლონიური სისტემა ირღვევა, მიუხედავად კოლონიზატორთა თავგამოდებული მეცადინეობისა შეინარჩუნონ ბატონობა იმ ქვეყნებში, რომლებსაც ისინი ჩაგრავენ. კოლონიზატორები ვერასგზით ვერ შერიგებიან თავიანთი პოზიციების დაკარგვას სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიასა და წყნარი ოკეანის აუზში, არა სურთ ცნონ ის ცვლილებანი, რაც მოხდა ყოფილი კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ხალხთა ცხოვრებაში, რომელნიც დამოუკიდებელი განვითარების გზას დაადგნენ. კოლონიზატორთა ჩარევა კორეის, ინდოჩინეთის საშინაო საქმეებში აღინიშნა სისხლისმღვრელი ომებით, რომლებმაც ახალი მსოფლიო ომის კერა შექმნეს დედამიწის ამ ნაწილში.

მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოების კოლექტიურ ღონისძიებათა მეოხებით, რომლებსაც მხარი დაუჭირა მსოფლიო საზოგადოებრივმა აზრმა, მოხერხდა საომარი მოქმედების შეწყვეტა კორეასა და ინდოჩინეთში. (**ტაში**).

ჩვენ მოხარული ვართ აღვნიშნოთ, რომ ბირმა თანმიმდევრულად მოითხოვდა ამ ქვეყნებში ომის შეწყვეტას და სადავო საკითხების მოლაპარაკების გზით გადაჭრას. ბირმის მთავრობა სხვა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოებთან ერთად იბრძოდა და იბრძვის კოლონიურ სახელმწიფოთა აგრესიულ ბლოკში — სეატო-ში მონაწილეობის წინააღმდეგ. (**ტაში**). ბირმის მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას იწონებენ მსოფლიოს პროგრესული ძალები. (**ტაში**).

წყნარი ოკეანის აუზში საომარი მოქმედების შეწყვეტა მშვიდობისმოყვარე ძალების დიდი გამარჯვება იყო. (**ტაში**). მაგრამ ამ რაიონში ჯერ კიდევ ბევრია გადაუჭრელი პრობლემა, და ერთ-ერთი ყველაზე მწვავე პრობლემაა იაპონიის პრობლემა. საბჭოთა კავშირი ესწრაფვის იაპონიის პრობლემის მოწესრიგებას, რადგან შეგნებული აქვს, თუ რა სიძნელეებს განიცდის ახლა იაპონელი ხალხი. ამასთანავე საბჭოთა კავშირის ხალხები იზიარებენ იაპონიის იმ მეზობელი ქვეყნების შიშს, რომელნიც იაპონიის მილიტარიზმის მსხვერპლი გახდნენ მეორე მსოფლიო ომში. ამიტომ საბჭოთა კავშირი სხვა მშვიდობისმოყვარე ქვეყნებთან ერთად იაპონიის პრობლემის ისეთი მოწესრიგების მომხრეა, რომ ამ მოწესრიგების შედეგად შეუძლებელი გახდეს იაპონიის აგრესიული მილიტარიზმის აღორძინება და ახალი მსოფლიო ომის კერად იაპონიის გადაქცევა.

ბევრი მოუწესრიგებელი პრობლემაა ევროპასა და მსოფლიოს სხვა ნაწილებში. ეს პრობლემები ხელს უწყობენ სახელმწიფოთა ურთიერთობის გამწვავებას. საბჭოთა მთავრობამ ამ უკანასკნელ ხანს განახორციელა მთელი რი-

(**დასასრული მე-2 გვერდზე**).

# საინფორმაციო ცნობა

## საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

ამა წლის 6 დეკემბერს გაიმართა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

პლენუმმა განიხილა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. დ. ვ. მჟავანაძის... 

პლენუმმა განიხილა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. დ. ვ. მჭედლიშვილის მოხსენება „რესპუბლიკის სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

პლენუმზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ვ. პ. მჟავანაძემ.

განხილულ საკითხზე პლენუმმა მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება.

# ნ. ა. ბულგანინი და ნ. ს. ხრუშჩოვი ბირმაში

(დასასრული)

გი საგარეოპოლიტიკური აქტები, რომლებიც ცნობილია მთელი მსოფლიოსათვის და რომელთა მიზანია საერთაშორისო დაძაბულობის შენელება. (ტაში).

ყოველივე ამან ხელსაყრელი ვითარება შექმნა ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების ჟენევის თათბირის მოსაწვევად, რომელმაც ხელი შეუწყო სახელმწიფოთა შორის დაძაბულობის შენელებას.

მთავრობათა მეთაურების ჟენევის თათბირის შემდეგ ჩვენ როდი შევასუსტეთ ჩვენი ღონისძიებანი ამ მიმართულებით. ჯერ კიდევ მიმდინარე წლის მაისში საბჭოთა მთავრობამ შეიმუშავა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განსახილველად შეიტანა შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირების გეგმა. საბჭოთა მთავრობამ შეიტანა აგრეთვე ევროპის კოლექტიური უშიშროების გეგმა. ახორციელებს რა ჟენევის სულისკვეთებას, საბჭოთა მთავრობამ 640 ათასი კაცით შეამცირა თავისი შეიარაღებული ძალები, აგრეთვე ლიკვიდაცია უყო თავის ერთადერთ სამხედრო-საზღვაო ბაზას უცხოეთის ტერიტორიაზე, უარი თქვა რა უფლებებზე ფინეთში პორკალა-უდის ბაზის მიმართ. (ტაში).

საბჭოთა კავშირი ყოველთვის მტკიცედ და თანმიმდევრულად ახორციელებს თავის მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას. ჩვენ იმის მომხრე ვიყავით და ვართ, რომ შემცირდეს შეიარაღება, აიკრძალოს ატომური და წყალბადის იარაღი. მაგრამ ჩვენ არა გვსურს ცალმხრივი განიარაღება მაშინ, როცა დასავლეთის სახელმწიფოები აძლიერებენ თავიანთ შეიარაღებას. სისულელე იქნება, ჩვენ რომ უძლურნი აღმოვჩნდეთ აგრესიული ძალების წინაშე, ვერ შევაჩეროთ იმპერიალისტების უგუნური ცდები — გააჩაღონ ახალი ომი. აი ამიტომ იძულებული ვართ არ შევანელოთ ყურადღება ჩვენი თავდაცვისუნარიანობის საკითხებისადმი. (ტაში).

საბჭოთა კავშირმა წამოაყენა წინადადება ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვის შესახებ. მაგრამ დასავლეთის სახელმწიფოების მთავრობებმა უარყვეს ეს წინადადება, განაცხადეს რა, რომ ისინი განუწყვეტლივ განაგრძობენ ატომური ბომბების მარაგის დაგროვებას. ახორციელებდნენ რა თავიანთ მეცნიერულ კვლევას, ჩვენმა მეცნიერებმა და ინჟინრებმა ამას წინათ მოახდინეს წყალბადის ბომბის უდიდესი, უმაგალითო ძალის აფეთქება. ამასთან აფეთქება მოხდა დიდ სიმაღლეზე, რათა მოსახლეობისათვის თავიდან აეცილებინათ საფრთხე. მაგრამ ჩვენ ახლაც კვლავ შეგვაქვს წინადადება უსასტიკესად აიკრძალოს ატომური იარაღის გამოყენება.

ჩვენ არ ვაპირებთ ვინმეზე თავდასხმას, არ ვაპირებთ არავის დაშინებას. ჩვენ გვსურს ყველამ შეიგნოს, თუ რა არის ომი, და მტკიცედ დავიწყეთ ბრძოლა ომის თავიდან აცილებისათვის, იმისათვის, რომ ყველა ქვეყანამ შეამციროს შეიარაღება, რომ უსასტიკესად აიკრძალოს ატომური და წყალბადის იარაღი. (ხანგრძლივი ტაში).

საბჭოთა სახელმწიფო მტკიცედ და თანმიმდევრულად ახორციელებდა და განახორციელებს ყველა ხალხის, ყველა ქვეყნის მშვიდობისა და თანამშრომლობის პოლიტიკას. ეს პოლიტიკა, რომელიც 1917 წლის ოქტომბერში გამოცხადდა საბჭოთა ხელისუფლების პირველი დეკრეტით, შეესაბამება მრავალეროვანი საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის ძირეულ ინტერესებს, ხალხებისა, რომლებიც მშვიდობიან შემოქმედებითს შრომას ეწევიან. ჩვენს ქვეყანაში ყველაფერი კეთდება საბჭოთა ადამიანების მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა რაც შეიძლება სრულად დაკმაყოფილების ინტერესებისათვის. ამ მიზნით ვადგენთ და ვახორციელებთ ჩვენს ხუთწლედებს, ვაშენებთ ქარხნებს, ფაბრიკებს, გიგანტურ ელექტროსადგურებს, რკინიგზებს. ხალხის საკეთილდღეოდ ხდება ყამირი მიწების ათვისება, ვაფართოებთ ხორბლისა და სიმინდის, ბოსტნეულისა და ტექნიკური კულტურების ნათესებს, ვიბრძვით მინდვრების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებისათვის. (ტაში).

თავისი არსებობის 38 წლის მანძილზე საბჭოთა სახელმწიფომ უდიდეს პროგრესს მიაღწია. საბჭოთა ხალხის მეცადინეობის მეოხებით ჩვენი წინათ ჩამორჩენილი აგრარული ქვეყანა გახდა მძლავრი სოციალისტური სახელმწიფო, რომელსაც აქვს პირველხარისხოვანი მრეწველობა და დიდადმექანიზებული სოფლის მეურნეობა.

საბჭოთა კავშირში სამუდამოდ მოეღო ბოლო ეროვნულ ჩაგვრას. (მქუხარე ტაში). ჩვენი ქვეყნის წინათ ჩამორჩენილმა და ჩაგრულმა ხალხებმა საბჭოთა ხელისუფლების წლებში უდიდეს წარმატებებს მიაღწიეს თავიანთ ეკონომიურ და კულტურულ განვითარებაში და ახლა თანასწორი ადგილი უკავიათ ჩვენი ქვეყნის ხალხთა ოჯახში. (მქუხარე ტაში). ჩვენში საქმით განხორციელებულია ქალთა განთავისუფლება მონობისაგან, რომლებიც ახალი ცხოვრების თანასწორუფლებიანი და აქტიური მონაწილენი გახდნენ. (მქუხარე ტაში).

საბჭოთა ხელისუფლების წლების მანძილზე სსრ კავშირში მოხდა კულტურული რევოლუცია. ამჟამად სსრ კავშირი წერა-კითხვის მთლიანი მცოდნეობის ქვეყანაა. იგი დაფარულია სკოლებისა და სხვა სასწავლებლების, კლუბების, ბიბლიოთეკების ფართო ქსელით. მეცნიერების ყველა მიღწევა, კულტურის ყველა განძი ხელმისაწვდომი გახდა ქალაქისა და სოფლის მილიონობით მშრომელისათვის. საბჭოთა კავშირში უკვე დიდიხანია ლიკვიდირებულია უმუშევრობა. (მქუხარე ტაში).

როგორც ცნობილია, ჩვენი ქვეყნის მნიშვნელოვანი რაიონები დაანგრიეს მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ჰიტლერელმა დამპყრობლებმა. ჩვენს ხალხს მოუხდა უდიდესი სახსრებისა და შრომის დახარჯვა, რათა აღედგინა ამ რაიონებში ქალაქები, სოფლები, ფაბრიკები და ქარხნები, რკინიგზები და გზატკეცილები.

მიუხედავად ყველა სიძნელისა, რომელთა გადალახვაც მოუხდა საბჭოთა ხალხს, იგი გამარჯვებული გამოვიდა თავისი სამშობლოს პროგრესისა და აყვავებისათვის ბრძოლაში. (ტაში).

ახლა, როცა ჩვენმა ქვეყანამ დააგროვა ეკონომიკის ყველა დარგში მშენებლობის მდიდარი გამოცდილება და შეუძლია ეს გამოცდილება და ცოდნა გაუზიაროს სხვა მშვიდობისმოყვარე ხალხებს, საბჭოთა კავშირი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფარგლებში ხალისით თანამშრომლობს სხვა ქვეყნებთან, რომ ტექნიკური და ეკონომიური დახმარება გაუწიოს სუსტად განვითარებული ქვეყნების ხალხებს (ტაში), რომელთა ეკონომიური განვითარება შეაფერხა ხანგრძლივმა კოლონიურმა რეჟიმმა.

ჩვენთვის გასაგებია კოლონიური ჩაგვრისაგან განთავისუფლებულ ხალხთა, მათ შორის ბირმელი ხალხის, მისწრაფება თავიანთი ქვეყნის ეკონომიური და კულტურული აყვავებისადმი, ისეთი სოციალურ-ეკონომიური ღონისძიებების განხორციელებისადმი, რომლებიც საშუალებას მისცემენ მათ გააუმჯობესონ ხალხის მასების ცხოვრების პირობები. ამიტომ ჩვენ მივესალმებით ჩვენს ქვეყნებს შორის ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის გაფართოებას.

ჩვენთვის აგრეთვე გასაგებია ღრმა და გულწრფელი მისწრაფება მშვიდობისადმი, რასაც ბირმის ხალხები იჩენენ, რადგან თუ არ იქნა მტკიცე და ხანგრძლივი მშვიდობა, შეუძლებელია ეკონომიური და კულტურული პროგრესი. (ტაში).

ამჟამად წყნარი ოკეანის აუზსა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში შექმნილი ვითარება — წყნარი ოკეანის ისეთი მეგობრული სახელმწიფოების არსებობა, როგორიც სსრ კავშირი და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა არიან, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა, მშვიდობისმოყვარე ინდოეთთან მეზობლობა — ხელსაყრელ პირობებს უქმნის ბირმელ ხალხს თავისი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის. (ტაში).

თქვენს მიწაწყალზე მოიკალათა ჩანკაიშელ ყაჩაღთა ბანდამ, რომელიც ყოველგვარ უწესობას სჩადის. ვფიქრობ, რომ ეს ბანდა ასე დიდხანს როდი გაძლებდა, მას რომ არ ეხმარებოდეს ბირმის ზოგიერთი მტერი. მაგრამ რასაც უნდა აკეთებდნენ კოლონიზატორები, ისინი ფეხს ვერ მოიკიდებენ იქ, საიდანაც განდევნა ხალხმა, რომელიც ეროვნული დამოუკიდებლობის დროშით დაირაზმა. (ტაში).

ჩვენ გვესმის, რომ ბირმა სოფლის მეურნეობის ქვეყანაა. მისი ვაჭრობა სხვა სახელმწიფოებთან ჯერჯერობით შეიძლება განვითარდეს უმთავრესად სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გაყიდვის ბაზაზე. იმასთან დაკავშირებით, რომ მთელ რიგ ქვეყნებში შეიქმნა ამ პროდუქტების სიჭარბე, ზოგიერთ სახელმწიფოს სურს ისარგებლოს ამით და უკარნახოს თავისი პირობები ბირმის კავშირს.

საბჭოთა კავშირი მუდამ გმობდა ასეთ პოლიტიკას. ჩვენ გვსურს განვავითაროთ ბირმასთან ურთიერთხელსაყრელი ვაჭრობა. და, თუმცა ჩვენი ქვეყანა არ არის ბრინჯის მასობრივი მყიდველი, ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ შევისყიდოთ თქვენგან მეტი ბრინჯი და სხვა პროდუქტები, რომლებიც გააქვს ბირმის კავშირს. ხოლო იმ თანხებით, რასაც თქვენ ჩვენთვის მოყიდულ საქონელში აიღებთ, შეგიძლიათ იყიდოთ ჩვენი საქონელი. (ტაში).

ეს იქნება ორივე სახელმწიფოსათვის ურთიერთხელსაყრელი ვაჭრობა, რომელსაც არ ახლავს არავითარი პოლიტიკური ვალდებულება. იგი ხელს შეუწყობს ჩვენი ურთიერთობის შემდგომ განვითარებას და ჩვენი სახელმწიფოების განმტკიცებას. (ტაში).

ჩვენ გამოვთქვამთ მტკიცე რწმენას, რომ ბირმელი ხალხი არასოდეს და არავის არ მისცემს მის საშინაო საქმეებში ჩარევის ნებას და ყველაფერს გააკეთებს თავისი სახელმწიფოს შემდგომი დამოუკიდებელი განვითარებისათვის.

ძვირფასო მეგობრებო!

ხვალ ჩვენ ვტოვებთ თქვენს სტუმართმოყვარე ქვეყანას და ვბრუნდებით თქვენი დიდი მეზობლის — ინდოეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

ჩვენმა ყოფნამ ინდოეთსა და ბირმაში საშუალება მოგვცა უკეთ გაგვეგო თქვენი ქვეყნების სასიცოცხლო ინტერესები. მაგრამ ზოგიერთ ვაჟბატონს ძალიან არ მოეწონა ჩვენი ჩამოსვლა ინდოეთსა და ბირმაში, არ მოეწონა ჩვენი გამოსვლები და გულახდილი აზრები. მაგრამ ჩვენ ყოველთვის ვამბობდით და ვამბობთ სიმართლეს, ხოლო სიმართლე ხშირად ყველას როდი მოსწონს, როგორც ხალხურ ანდაზაშია ნათქვამი — სიმართლე თვალსა ჩხვლეტს. (ტაში).

აი ამიტომ ინგლისის პრესის ზოგიერთი ორგანო გაბრაზებით გამოეხმაურა ჩემს გამოსვლებს და ამხანაგ ბულგანინის გამოსვლებს ინდოეთში. მათ განსაკუთრებით არ მოეწონათ ის ადგილი ერთ-ერთ ჩემს გამოსვლაში, სადაც ნათქვამია, რომ ზოგიერთმა წრეებმა ხელფეხი გაუხსნეს ჰიტლერს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომში.

ეს ხომ ისტორიული ფაქტია.

განა შეეძლო ჰიტლერს ომი დაეწყო, მის წინააღმდეგ რომ გამოსულიყვნენ ინგლისის, საფრანგეთის, საბჭოთა კავშირისა და სხვა ქვეყნების გაერთიანებული ძალები.

ინგლისისა და საფრანგეთის მაშინდელ მმართველ წრეებს სურვილი რომ ჰქონოდათ შეეჩერებინათ ჰიტლერი და არ დაეშვათ ომის გაჩაღება, ისინი ხელს შეუშლიდნენ ჰიტლერის მიერ ავსტრიის დაპყრობას, არ დადებდნენ სამარცხვინო მიუნხენის შეთანხმებებს.

ცნობილია, რომ საფრანგეთს ჩეხოსლოვაკიასთან ჰქონდა ხელშეკრულება ურთიერთდახმარების შესახებ. მაგრამ იმ მომენტში, როცა ჰიტლერმა დაიწყო ჩეხოსლოვაკიის დაპყრობა, საფრანგეთის მთავრობამ უარი თქვა დახმარებოდა ჩეხოსლოვაკიას, თუმცა კარგად იცოდა, რომ საბჭოთა კავშირი მზად იყო დაუყოვნებლივ გაეწია დახმარება ჰიტლერული აგრესიის ალაგმვის საქმეში. ეს ხომ საიდუმლოება არ არის, რომ საბჭოთა შეიარაღებული ძალები მაშინ მზად იყვნენ, რათა საფრანგეთის ჯარებთან ერთად წინააღმდეგობა გაეწიათ ჰიტლერული აგრესიისათვის, რომელიც მიმართული იყო ჩეხოსლოვაკიის წინააღმდეგ. მაგრამ საფრანგეთის მთავრობამ უარი თქვა ამის გაკეთებაზე.

ომისწინა წლების ისტორია დამაჯერებლად მოწმობს, რომ დასავლეთის სახელმწიფოებმა ჰიტლერს ერთი დაითმობა მეორეზე გაუკეთეს, უბიძგებდნენ მას აღმოსავლეთისაკენ, ჩვენი ქვეყნისაკენ. მაგრამ საქმე ისე შემოტრიალდა, რომ იმან, ვისაც ინგლისის, საფრანგეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების მაშინდელი მმართველი წრეები ზრდიდნენ როგორც თავიანთ ცოფიან ძაღლს და აპირებდნენ გამოეშვათ იგი სსრ კავშირის წინააღმდეგ, აიწყვიტა ჯაჭვი და ეცა იმათ, ვინც მას ზრდიდა.

ამასთან დაკავშირებით იბადება ასეთი კითხვა, ხომ არ დავინახავთ ერთგვარ ანალოგიას ომამდელ პერიოდთან, თუ შევხედავთ იმას, რასაც აკეთებენ თანამედროვე დასავლეთ გერმანიის მიმართ? განა იმავე მეთოდებით არ მოქმედებენ დღეს იგივე ქვეყნები, ცდილობენ რა დასავლეთი გერმანია დააყენონ აგრესიისა და ახალი ავანტიურების გზაზე?

მათ დასავლეთი გერმანია ჩააბეს ნატო-ში. ისინი სახსრებს იძლევიან დასავლეთ გერმანიის შეიარაღებისათვის, აწვდიან მას იარაღს. დასავლეთის ქვეყნების ბევრ ხელმძღვანელ მოღვაწეს საჭიროდაც არ მიაჩნია დამალოს, რომ ისინი დასავლეთ გერმანიის არმიას ამზადებენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

მაშ რატომღა გწყინთ, ბატონო ინგლისელო ჟურნალისტებო, როცა ჩვენ ვიხსენებთ ზოგ რამეს წარსულიდან? (გამოცოცხლება დარბაზში).

მინდა კიდევ ვთქვა შემდეგი. რუსეთს არასოდეს არ აუტეხია ომი ინგლისის წინააღმდეგ. მაგრამ ინგლისი თავს ესხმოდა ჩვენს ქვეყანას როგორც წარსულში, ისე ჩვენს, საბჭოთა დროში. საკმარისია დავიმოწმოთ თუნდაც ისეთი მაგალითი, როგორიც იყო სევასტოპოლის ომი. რუსებს ხომ არ მოუპატიჟებიათ მაშინ ინგლისელები ყირიმში, რომ მათ მოესპოთ ჩვენს რუსულ მიწაწყალზე რუსი ადამიანები. შეიძლება გავიხსენოთ აგრეთვე ინგლისის ინტერვენცია ჩვენი სამშობლოს წინააღმდეგ სამოქალაქო ომის წლებში. როცა საბჭოთა რესპუბლიკა ის-ის იყო მტკიცდებოდა, ინგლისის ჯარებმა მოახდინეს არხანგელსკის ოკუპაცია. ისინი ჩვენში მოვიდნენ არა როგორც მეგობრები, არამედ როგორც მტრები, რათა ჩვენი საბჭოთა ადამიანების სისხლი დაეღვარათ ჩვენს საბჭოთა მიწაწყალზე, სანამ ისინი არ გააძევეს იქიდან. (მქუხარე ტაში).

ყველაფერი ეს აგრეთვე ისტორიული ფაქტებია, რომლებსაც ვერსად ვერ დაემალები!

ბოლოს, გაიხსენეთ ყბადაღებული დირექტივა, რომელიც ბატონმა ჩერჩილმა მეორე მსოფლიო ომის დასასრულს მისცა თავის სარდალს ევროპის ომის ასპარეზზე. ჩერჩილმა მაშინ ბრძანა შეეგროვებინათ და შეენახათ იარაღი, რომელსაც ტყვედ დანებებული ჰიტლერელთა ჯარები ყრიდნენ, და მზად ჰყოლოდათ ეს ჯარები, რადგან ისინი, შესაძლოა, გამოდგებოდნენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მოქმედებისათვის, თუმცა საბჭოთა კავშირი ინგლისის მოკავშირე იყო.

ჩვენ გვჩვევია მუდამ სიმართლე ვილაპარაკოთ და პატიოსნად შევხედოთ სიმართლეს, თუნდაც იგი არასასიამოვნო იყოს. (ტაში).

ყველა ჩვენი მოქმედება მოწმობს, რომ ჩვენ არა გვსურს უთანხმოება დასავლეთის სახელმწიფოებთან. ჩვენ მხარს ვუჭერთ ნამდვილ მეგობრობას ინგლისთან, საფრანგეთთან, ამერიკის შეერთებულ შტატებთან და სხვა ქვეყნებთან. ჩვენ გვსურს მეგობრობა მსოფლიოს ყველა ხალხთან. ჩვენ არა მარტო გვინდა ეს, არამედ აქტიურადაც ვიბრძვით მშვიდობისათვის მთელ მსოფლიოში და ყველა ქვეყანას შორის საქმიანი თანამშრომლობისათვის. (მქუხარე ტაში).

მაგრამ, როგორც ჩანს, ზოგიერთ ვინმეს არცთუ ძალიან მოსწონს ის, რომ ჩვენ ახლა უაღრესად მეგობრულ ურთიერთობას ვამყარებთ ინდოეთის, ბირმისა და სხვა ქვეყნების ხალხებთან. აღარაფერს ვამბობთ ჩვენს დიდ მეგობარსა და ძმაზე — ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაზე, რომელთანაც ახლა სამუდამოდ დაკავშირებული ვართ უაღრესად მტკიცე, უაღრესად გულითადი და უანგარო ძმური მეგობრობით.

დიახ, ზოგ ვინმეს არ მოსწონს, რომ ჩვენ მხარს ვუჭერთ ქვეყნებს, რომლებმაც თავი დააღწიეს კოლონიურ ჩაგვრას და ახლა მიდიან წინ თვითეული თავისი გზით. ჩვენ მუდამ ვუჭერდით მხარს ამ ქვეყნების ხალხთა მისწრაფებას თავიანთი ეროვნული განთავისუფლებისადმი. და ჩვენ გულწრფელად გვახარებს, რომ მათ არა მარტო მოიპოვეს პოლიტიკური თავისუფლება, არამედ აგრეთვე წინ მიდიან ახალი გზით, თუმცა ეს არ მოსწონს ზოგ ვინმეს ინგლისში, საფრანგეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ზოგ გაზეთს არ მოეწონა სიმართლე წარსულის შესახებ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ მათ არ მოეწონებათ აგრეთვე სიმართლე დღევანდელი დღის შესახებ. სიმართლე არის სიმართლე და მე უნდა ვთქვა მის შესახებ. მაგალითად, იბადება ასეთი კითხვა: რატომ მოახდინეს ამერიკის ჯარებმა კუნძულ ტაივანისა და მის ახლო მდებარე სხვა კუნძულების ოკუპაცია, რომლებიც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონიერი ტერიტორიის ნაწილს წარმოადგენენ? რატომ უშლიან ისინი ხელს ჩინელ ხალხს დაამთავროს თავისი მიწაწყლის გაერთიანება?

მაგრამ ვერც ერთი ბურჟუაზიული ჟურნალისტი ვერ გაბედავს აღიმაღლოს ხმა ასეთი მოქმედების წინააღმდეგ. არ ისმის ინგლისის პრესაში აგრეთვე პროტესტის სერიოზული ხმა პორტუგალელ კოლონიზატორთა უწესობების წინააღმდეგ, რომლებიც უკანონოდ ინარჩუნებენ ინდოეთის განუყოფელ ნაწილს — გოას.

როგორც ჩანს, კოლონიზატორებს ჯერ კიდევ არ უთქვამთ უარი თავიანთ გეგმებსა და მოქმედებაზე, თუმცა მათი ბატონობის დრო უკვე წავიდა. ჩვენ ამას ვამბობთ პირდაპირ და გულახდილად.

ან აიღეთ ასეთი ფაქტი: აი უკვე ექვს წელიწადზე მეტია იზრდება და დღეგრძელობს დიდი სახელმწიფო — ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა. მაგრამ, საღი გონების საწინააღმდეგოდ, ზოგიერთი სახელმწიფო ხელს უშლის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონიერი უფლებების აღდგენას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. ამ ორგანიზაციაში ჩინელი ხალხის წარმომადგენლობას ცდილობს ჩანკაიშელი. ეს ხომ აღმაშფოთებელი უსამართლობაა. მაგრამ ინგლისის პრესა არ ილაშქრებს ასეთი ველურობის წინააღმდეგ და სჯერდება მხოლოდ უწყინარ მსჯელობას ამის შესახებ!

დაე ნუ იფიქრებენ, რომ ვაპირებ ვისმეს ჭკუა ვასწავლო. არა, მე მომყავს მხოლოდ ფაქტები. ფაქტები კი ჯიუტი რამ არის!

მინდა დავუბრუნდე მეორე მსოფლიო ომის ამბებს. ცნობილია, რომ როცა ჰიტლერული გერმანია ვერაგულად დაესხა თავს საბჭოთა კავშირს და ჩვენ საფრანგეთის, ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების მოკავშირეები აღმოვჩნდით მის წინააღმდეგ ბრძოლაში, ჩვენი ქვეყანა თავის სამოკავშირეო ვალდებულებებს პირნათლად და კეთილსინდისიერად ასრულებდა.

საბჭოთა ხალხმა ამ ომში გაცილებით მეტი სისხლი დაღვარა, ვიდრე ყველა ჩვენმა მოკავშირემ ერთად, მაგრამ ჩვენ პატივს ვცემთ და ქებით ვიხსენიებთ ინგლისის, საფრანგეთის, ამერიკისა და სხვა ჯარებს, რომლებიც იბრძოდნენ ჰიტლერული გერმანიისა და მისი სატელიტების წინააღმდეგ. ბრძოლა მკაცრი იყო, მაგრამ ჩვენმა გაერთიანებულმა არმიებმა, რომლებიც იბრძოდნენ კაცობრიობის ნათელი მომავლისათვის, მისი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, სისხლიანი ჰიტლერიზმის წინააღმდეგ, უდიდესი გამარჯვება მოიპოვეს.

საერთო საქმისათვის ერთობლივი ბრძოლის ამ გამოცდილებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მეორე მსოფლიო ომმა ცხადყო, რომ ინგლისელ, ფრანგ, ამერიკელ და საბჭოთა ადამიანებს შეუძლიათ ძალიან კარგი მეგობრები იყვნენ არა მარტო კარგ დროს, არამედ ყველაზე მკაცრი და მძიმე განსაცდელის ჟამსაც. თუ ჩვენ მოკავშირეები ვიყავით ომში, მაშ რა გვიშლის ხელს ასეთივე კარგი მეგობრები ვიყოთ მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის ბრძოლაში?

ჩვენ კვლავ და კვლავ ვამბობთ — საბჭოთა ხალხი იბრძვის მტკიცე მშვიდობისათვის, ყველა ხალხის მეგობრობისათვის. და ჩვენ არა მარტო ვამბობთ ამას, არამედ ყველაფერს ვაკეთებთ ასეთი მეგობრობის განვითარებისა და განმტკიცებისათვის.

აი ყველაფერი, რის თქმაც მსურდა ზოგიერთ კომენტართან დაკავშირებით, რომლებიც ინგლისის პრესამ გაუკეთა ჩემს გამოსვლებსა და ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე ბულგანინის გამოსვლებს.

ვამთავრებ რა ჩემს სიტყვას, მინდა პირადად ჩემი სახელით, ჩემი მეგობრის ამხანაგ ბულგანინის და ყველა იმ მეგობრის სახელით, რომლებიც გვახლავან ბირმაში მოგზაურობის დროს, უაღრესად გულითადი მადლობა გადავუხადო ბირმის მთავრობასა და ხალხს გულითადი მიღებისათვის, რომელიც ჩვენ მოგვიწყეს. (მქუხარე ტაში).

მინდა განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო ამხანაგ ნუს მისი გულითადი დამოკიდებულებისათვის ჩვენდამი და ჩვენი ქვეყნისადმი. (მქუხარე ტაში). სწორად გაიგო და შეაფასა რა ჩვენი ქვეყნის ხალხების მეგობრული გრძნობები ბირმის ხალხებისადმი, იგი გაბედულად დაეთანხმა ბირმის კავშირისა და საბჭოთა კავშირის დაახლოებას, ჩვენი ქვეყნების მეგობრობის განვითარებასა და განმტკიცებას. (მქუხარე, ხანგრძლივი ტაში). იგი ამას აკეთებს თავისი ქვეყნის ინტერესებისათვის, რითაც ცხადყოფს თავის შორსმჭვრეტელობას. (ტაში).

მოგვმართა რა მე და ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე ბულგანინს, ბირმის პრემიერ-მინისტრმა ამხანაგები გვიწოდა. დიახ, ჩვენ ამხანაგები ვართ ერთობლივ ბრძოლაში მშვიდობისა და მეგობრობის ინტერესებისათვის. (ტაში). ჩვენი ამხანაგური დამოკიდებულება გაიზრდება და განმტკიცდება უაღრესად კეთილმეგობრულ საფუძველზე. ეს ურთიერთობა განვითარდება როგორც ჩვენი ქვეყნების პოლიტიკურ მოღვაწეებს შორის, ისე ჩვენს სახელმწიფოებს შორისაც ჩვენი ხალხების ინტერესებისათვის. (ტაში).

ნება მიბოძეთ ერთხელ კიდევ გისურვოთ თქვენ, ძვირფასო პრეზიდენტო დოქტორო ბა უ, თქვენ, ამხანაგო ნუ, ყველას, მეგობრებო, რომლებიც ამ კრებას ესწრებით, მთელ ბირმელ ხალხს წარმატება თქვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის განმტკიცების საქმეში! (მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).

გაუმარჯოს და აყვავდეს ბირმისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობა! (ყველანი ფეხზე დგებიან და მქუხარე ოვაციას მართავენ).

## ნ. ა. ბულგანინი და ნ. ს. ხრუშჩოვი ბირმიდან გაემგზავრნენ

რანგუნი, 7 დეკემბერი. (საქდესის სპეც. კორ.). დღეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ბულგანინი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ნ. ს. ხრუშჩოვი რანგუნიდან ინდოეთს გაემგზავრნენ სპეციალური საბჭოთა თვითმფრინავით.

რანგუნის მინგალადონის აეროდრომზე ნ. ა. ბულგანინი და ნ. ს. ხრუშჩოვი გააცილეს ბირმის კავშირის პრემიერ-მინისტრმა უ ნუმ, მინისტრებმა და სხვა მაღალი თანამდებობის ოფიციალურმა პირებმა, რანგუნში აკრედიტებულმა დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურებმა.

ნ. ა. ბულგანინი და ნ. ს. ხრუშჩოვი აგრეთვე გააცილეს სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ბირმაში ა. დ. შჩიბორინმა და საბჭოთა საელჩოს თანამშრომლებმა.

აეროდრომზე ჩამწკრივებული იყო საპატიო ყარაული და შესრულებულ იქნა საბჭოთა კავშირისა და ბირმის კავშირის სახელმწიფო ჰიმნები.

ბირმელმა ქალიშვილებმა და ბავშვებმა ყვავილები მიართვეს საბჭოთა სტუმრებს.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა და ბირმის კავშირის პრემიერ-მინისტრმა უ ნუმ შემდეგი განცხადებები გააკეთეს:

### ამხანაგ ნ. ა. ბულგანინის განცხადება

ბატონო პრემიერ-მინისტრო!

მეგობრებო!

ბატონებო!

ჩვენ ვტოვებთ თქვენს გულღია და სტუმართმოყვარე ქვეყანას და თან მიგვაქვს წარუშლელი შთაბეჭდილებანი თქვენი მშვენიერი ქვეყნისა და შესანიშნავი ხალხის შესახებ. ჩვენ შესაძლებლობა გვქონდა პირადად გვეგრძნო კოლონიური მონობისაგან განთავისუფლებული, დამოუკიდებელი განვითარების გზაზე დამდგარი ბირმის პოლიტიკური და ეკონომიური ცხოვრების მაჯისცემა. ჩვენ სამუდამოდ დაგვრჩება გულში მეგობრობისა და კეთილგანწყობილების გულწრფელი და გულითადი გრძნობები, რომლებითაც სახელოვანი ბირმელი ხალხი გამსჭვალულია საბჭოთა ხალხისადმი.

ბირმის ქალაქებსა და სოფლებში ყოფნის დროს ჩვენ ვხედავდით, რომ ბირმელი ხალხის ძთელი მისწრაფება ის არის, რომ განამტკიცოს თავისი ეკონომიკა, თავისი ეროვნული დამოუკიდებლობა. ჩვენ ეჭვი არ გვეპარება, რომ შრომისმოყვარე ბირმელი ხალხი ყველა სიძნელეს გადალახავს მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის გზაზე.

ვტოვებთ რა თქვენს ქვეყანას, სიხარულით აღვნიშნავთ, რომ პირადი კონტაქტი ჩვენს მთავრობებს შორის ფრიად ნაყოფიერია და მას მოჰყვება ჩვენს ხალხებს შორის ურთიერთგაგების შემდგომი გაფართოება. პრემიერ-მინისტრ უ ნუს ვიზიტმა საბჭოთა კავშირში დასაწყისი მისცა ამ კონტაქტს, რომელიც კიდევ უფრო განმტკიცდა ჩვენი აქ ყოფნის შედეგად.

რანგუნში ყოფნის დროს ჩვენ სასიამოვნო შეხვედრები და საუბრები გვქონდა პრეზიდენტ დოქტორ ბა უსთან, ბატონ ნუსთან და ბირმის კავშირის სხვა ხელმძღვანელ მოღვაწეებთან. ეს საუბრები, რომლებიც მეტად სასარგებლო იყო, მიმდინარეობდა გულითადობისა და სრული ურთიერთგაგების სულისკვეთებით. გუშინ ჩვენ ხელი მოვაწერეთ ერთობლივ განცხადებას, სადაც ჩამოყალიბებულია ჩვენი შეხედულებანი იმ საკითხებზე, რომლებიც საინტერესოა ბირმისა და საბჭოთა კავშირისათვის, და საერთო შეხედულებანი ზოგიერთ გადაუდებელ საერთაშორისო პრობლემაზე.

ჩვენი ერთობლივი განცხადება მნიშვნელოვანი დოკუმენტია, რომელიც ნიშნავს ახალ საფეხურს ჩვენი ქვეყნების ურთიერთობაში. ეს დოკუმენტი უთუოდ შეუწყობს ხელს როგორც აზიაში, ისე მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცების საქმეს.

გმადლობთ, ბ-ნო პრემიერ-მინისტრო, ჩვენზე თქვენი ზრუნვისა და ძმური მიღებისათვის. გთხოვთ, ჩვენო ძვირფასო მეგობარო, ჩვენი გულითადი მადლობა გადასცეთ ბირმელ ხალხს, ბირმის კავშირის პრეზიდენტს, თქვენს მთავრობას სტუმართმოყვარეობისათვის, გულთბილი მიღებისათვის, რომელიც თქვენს ქვეყანაში მოგვიწყეთ.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირისა და ბირმის მეგობრობასა და თანამშრომლობას!

გაუმარჯოს სახელოვან შრომისმოყვარე ბირმელ ხალხს!

ნახვამდის!

„ტუატომე!" („ნახვამდის" ბირმულ ენაზე. — რედ.).

### პრემიერ-მინისტრ უ ნუს განცხადება

ბატონო პრემიერ-მინისტრო, ამხანაგო ხრუშჩოვ, მეგობრებო! ახლა, როცა თქვენი აღმატებულება და თქვენი თანმხლები პირები რანგუნს ტოვებთ, ნება მიბოძეთ ბირმის კავშირის მთავრობისა და ხალხის სახელით ერთხელ კიდევ გამოვთქვა დიდი კმაყოფილება და მადლობა, რასაც განვიცდით ჩვენს ქვეყანაში თქვენი ჩამოსვლით.

კეთილი ნების ვიზიტი, რომლითაც თქვენი აღმატებულება ჩვენს ქვეყანაში ჩამობრძანდით, და მხურვალე მიღება, რასაც აქ შეხვდით, ცხადყოფს, რომ სხვადასხვა პოლიტიკური და ეკონომიური სისტემის მქონე ქვეყნებს შეუძლიათ იცხოვრონ არა მარტო მშვიდობით, არამედ აგრეთვე მჭიდრო მეგობრობითა და თანხმობით. თქვენი აღმატებულების ვიზიტის შედეგად მტკიცე საფუძველი ჩაეყარა ჩვენი ორი ქვეყნის მეგობრული ურთიერთობის დამყარებას და ეკონომიური და კულტურული გაცვლის გაძლიერებას.

ბირმის კავშირის მთავრობისა და ხალხის სახელით ნება მიბოძეთ გულითადი მადლობა გადავუხადო თქვენს აღმატებულებას თქვენი საჩუქრისათვის — თვითმფრინავ „ილიუშინისათვის", რომელიც მუდამ მადლობით მოსაგონარი იქნება ჩვენთვის.

ვუსურვებ თქვენს აღმატებულებას და თქვენს თანმხლებ პირებს შემდგომ სასიამოვნო მგზავრობას და ბედნიერ დაბრუნებას თქვენს დიდ ქვეყანაში. ნება მიბოძეთ ბირმის მთავრობისა და ხალხის სახელით გთხოვოთ ჩვენი უაღრესად მეგობრული სალამი და საუკეთესო სურვილები გადასცეთ საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელებსა და ხალხს.

გზა მშვიდობისა, თქვენო აღმატებულებავ!

* * *

ნ. ა. ბულგანინისა და ნ. ს. ხრუშჩოვის გამგზავრების წინ აეროდრომზე გაიმართა ბირმის მთავრობისათვის „ილიუშინ-14" ტიპის საბჭოთა თვითმფრინავის საჩუქრად გადაცემის ცერემონია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში

მიმდინარე წლის 14 ნოემბერს ავსტრიის ელჩმა სსრ კავშირში ბ-ნმა ნ. ბიშოფმა შემდეგი შინაარსის ნოტა გადასცა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს:

„ავსტრიის ფედერალური მთავრობის დავალებით ავსტრიის საელჩოს პატივი აქვს მიმართოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს შემდეგ საკითხზე:

ავსტრიის პარლამენტმა 1955 წლის 26 ოქტომბერს მიიღო ფედერალური კონსტიტუციური კანონი ავსტრიის ნეიტრალიტეტის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა 1955 წლის 5 ნოემბერს. კანონში ნათქვამია:

**„მუხლი I.**

(1) თავისი საგარეო დამოუკიდებლობის მტკიცედ დამკვიდრებისათვის და თავისი ტერიტორიის ხელშეუხებლობის უზრუნველსაყოფად ავსტრია ნებაყოფლობით აცხადებს თავის მუდმივ ნეიტრალიტეტს. ავსტრია მას შეინარჩუნებს და დაიცავს ყველა საშუალებით, რაც მის განკარგულებაშია.

(2) ამ მიზნების უზრუნველსაყოფად ავსტრია მომავალში არასოდეს არ შევა არავითარ სამხედრო კავშირში და არ დაუშვებს, რომ მის ტერიტორიაზე შეიქმნას უცხო სახელმწიფოთა სამხედრო დასაყრდენი პუნქტები.

**მუხლი II.**

ამ ფედერალური კონსტიტუციური კანონის განხორციელება ეკისრება ფედერალურ მთავრობას".

თანდართულია იდენტური ტექსტი გერმანულ ენაზე.

ავსტრიის ფედერალურ მთავრობას პატივი აქვს აცნობოს ეს კონსტიტუციური კანონი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობას და სთხოვოს მას — ცნოს ავსტრიის მუდმივი ნეიტრალიტეტი ამ ფედერალური კონსტიტუციური კანონის მიხედვით.

ავსტრიის საელჩო აგრეთვე სარგებლობს ამ შემთხვევით, რათა კვლავ განუცხადოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს თავისი განსაკუთრებით ღრმა პატივისცემა.

მოსკოვი, 1955 წლის 14 ნოემბერი".

მიმდინარე წლის 6 დეკემბერს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ. მ. მოლოტოვმა მიიღო ავსტრიის ელჩი ბ-ნი ნ. ბიშოფი და გადასცა მას საბჭოთა მთავრობის შემდეგი საპასუხო ნოტა:

„საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პატივი აქვს დაადასტუროს ავსტრიის საელჩოს 1955 წლის 14 ნოემბრის ნოტის მიღება, რომელშიც ნათქვამია, რომ ავსტრიის პარლამენტმა 1955 წლის 26 ოქტომბერს მიიღო ფედერალური კონსტიტუციური კანონი ავსტრიის ნეიტრალიტეტის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა 1955 წლის 5 ნოემბერს.

ხსენებულ ნოტაში გამოთქმული სურვილის პასუხად სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პატივი აქვს აცნობოს ავსტრიის საელჩოს, რომ საბჭოთა კავშირის მთავრობამ მიიღო ცნობად ფედერალური კონსტიტუციური კანონი და ცნობს ავსტრიის მუდმივ ნეიტრალიტეტს იმ სახით, როგორც იგი განსაზღვრულია ამ კანონში.

მოსკოვი, 1955 წლის 6 დეკემბერი".

ბ-ნმა ნ. ბიშოფმა ვ. მ. მოლოტოვს მადლობა გადაუხადა გადაწყვეტილებისათვის, რომელიც მიიღო საბჭოთა მთავრობამ, და აღუთქვა, რომ ავსტრიის რესპუბლიკის მთავრობას გადასცემს საბჭოთა კავშირის მთავრობის მიერ მისთვის გადაცემული ნოტის შინაარსს.

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარეს ბატონ ა. ვოლკოვს,

მოსკოვი.

დავბრუნდი რა ავსტრიაში, ნებას ვაძლევ ჩემს თავს ავსტრიელი პარლამენტარების დელეგაციის ყველა წევრის სახელით მხურვალე მადლობა მოგახსენოთ ესოდენ გულუხვი სტუმართმოყვარეობისათვის, რაც ჩვენ გაგვიწიეთ, და ჩვენი ქვეყნისადმი მრავალგზის გამოთქმული სიმპათიისათვის, რაც ჩვენდამი ესოდენ გულითადი და მრავალგვარი ფორმით გამოიჩინეთ.

დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენთვის მოცემულმა შესაძლებლობამ პირადად გავცნობოდით საბჭოთა კავშირის ცხოვრებას და უშუალო კონტაქტმა ჩვენს დელეგაციასა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს წარმომადგენლებს შორის მნიშვნელოვნად შეუწყეს ხელი ჩვენი ხალხების ურთიერთგაგებასა და მშვიდობიან თანაარსებობას.

ერთხელ კიდევ მოგახსენებთ რა მადლობას ავსტრიის მთელი დელეგაციის სახელით, საბჭოთა კავშირის ხალხებს ვუსურვებ ბედნიერებას და წარმატებას მშვიდობიანი მომავლის საქმეში.

ა. ფრიში,
ავსტრიის რესპუბლიკის ფედერალური საბჭოს თავმჯდომარე.

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარეს ბატონ ვ. ლაცისს,

მოსკოვი.

14 დღის მოგზაურობის შემდეგ, რომელიც ავსტრიელი პარლამენტარების დელეგაციამ შეასრულა საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს მოწვევით, ნებას მივცემ ჩემს თავს მთელი დელეგაციის სახელით გულითადი მადლობა მოგახსენოთ ჩვენთვის გაწეული დიდი სტუმართმოყვარეობისათვის და ავსტრიელი ხალხისადმი სიმპათიის მრავალი გამოვლინებისათვის.

დარწმუნებული ვარ, რომ უმაღლესი საბჭოს მიწვევამ, რომლის მიზანია საბჭოთა კავშირისა და ავსტრიის რესპუბლიკის მეგობრული ურთიერთობის განვითარება, ხელი შეუწყო უკეთეს ურთიერთგაგებას და რომ ავსტრიელ პარლამენტარებსა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს წარმომადგენლებს შორის უშუალო კონტაქტის დამყარებამ სარგებლობა მოუტანა ჩვენს ორივე ხალხს.

ვუსურვებ რა წარმატებას ბედნიერი მომავლისადმი საბჭოთა კავშირის ხალხებისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მისწრაფებას, ერთხელ კიდევ გმადლობთ მოწვევისა და მთელი ყურადღებისათვის, რაც ჩვენდამი გამოიჩინეთ ჩვენი მოგზაურობის დროს.

ა. ფრიში,
ავსტრიის რესპუბლიკის ფედერალური საბჭოს თავმჯდომარე.

# პარტიის XX ყრილობის ღირსეულად

## დროშები და პრემიები მოწინავე საწარმოებს

ტყიბული. (საქ. კორ.). რკინიგზის ტყიბულის სადგურის კოლექტივმა ახალი გამარჯვება მოიპოვა პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში. ოქტომბერში დატვირთვა-გადმოტვირთვის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის ამიერკავკასიის რკინიგზის სადგურებს შორის ტყიბულის სადგურის კოლექტივს პირველი ადგილი და გარდამავალი წითელი დროშა მიეკუთვნა.

მაღალი ჯილდოს პასუხად ტყიბულელი რკინიგზელები კიდევ უფრო აძლიერებენ მუშაობის ტემპს.

* * *

პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში საუკეთესო მაჩვენებლების მოპოვებისა და მესამე კვარტალში საწარმოო გეგმის 100,5 პროცენტით შესრულებისათვის თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს მიენიჭა პირველი ფულადი პრემია და გადაეცა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და რესპუბლიკის პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა.

რამდენიმე დღის წინათ ქალაქის ელექტროტრანსპორტის მუშაკებს საზეიმო ვითარებაში გადაეცათ გარდამავალი წითელი დროშა.

## შრომითს ვახტზე

ლანჩხუთი. („კომუნისტის" კორ.). სკკპ XX ყრილობის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრების მასობრივად გაჩაღებისა და შრომითი აქტივობის გაძლიერების შედეგად ლანჩხუთის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის კოლექტივმა ვადამდე გაანაღდა ნაკისრი ვალდებულება. მეოთხე კვარტალში შეაკეთა 14 ტრაქტორი გეგმით გათვალისწინებული 12-ის ნაცვლად.

ლანჩხუთის მტს-ის მექანიზატორები დადგნენ ყრილობის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე და ვალდებულება იკისრეს ტრაქტორებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების რემონტის გეგმა გაანაღდონ ვადაზე 2 თვით ადრე.

## გამარჯვებული კოლექტივი

ფოთი. (საქ. კორ.). ქალაქის საწარმოთა კოლექტივებს შორის პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავად ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაში თავი ისახელა წისქვილკომბინატის კოლექტივმა, ხოლო წისქვილკომბინატში ყველაზე უკეთეს მაჩვენებლებს აღწევს ი. ვიტოვტოვის ბრიგადა. ეს ბრიგადა ყოველდღიურ დავალებებს სისტემატურად 125-130 პროცენტით ასრულებს.

ინდივიდუალურ სოციალისტურ შეჯიბრებაში საუკეთესო მაჩვენებლები აქვთ ა. აბრამიძეს და ა. კვარაცხელიას.

წისქვილკომბინატის კოლექტივმა უკვე შეასრულა მეხუთე ხუთწლედი და ახლა იბრძვის წლიური გეგმის გადამეტებით 12.000 ტონა პროდუქციის გამოშვებისათვის.

## გურჯაანელთა მიღწევები

გურჯაანი. („კომუნისტის" კორ.). დიდი აღმავლობით ემზადებიან გურჯაანის საწარმოთა კოლექტივები პარტიის XX ყრილობის შესახვედრად. საკონსერვო ქარხნის კოლექტივმა ნოემბერში თვიური საწარმოო დავალება დიდი გადაჭარბებით შეასრულა და გეგმის გადამეტებით 80 ათასი ქილა სხვადასხვა სახის კონსერვი გამოუშვა.

მაღალნაყოფიერად მუშაობენ გურჯაანის აგურ-კრამიტის ქარხანაში. ნოემბერში ამ ქარხანაში აგურის გამოშვების გეგმა შეასრულეს 101,1 პროცენტით, ხოლო კრამიტისა — 104 პროცენტით. საუკეთესოდ მუშაობენ შრომითს ვახტზე გამოსული მოწინავე დამყალიბებლები და გამომწველები ა. გორხელაშვილი, ნ. რაქვიაშვილი, ე. ბეციაშვილი და ა. სირბილაშვილი.

# რაიონული პარტიული კონფერენციები

## მოხსენებამ დელეგატები ვერ დააკმაყოფილა

### გალის რაიონი

ჩაისა და მარცვლეული კულტურების დარგში გალის რაიონს ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უკავია აფხაზეთში. რაიონის მეჩაიეებმა მიმდინარე წელს მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩააბარეს 9 ათას ტონაზე მეტი ჩაის მწვანე ფოთოლი — 356,5 ტონით მეტი გასულ წელთან შედარებით. სოფელ მუხურის ჯგუბურიას სახელობის კოლმეურნეობაში 60 ჰექტარი ფართობის საშუალოდ ჰექტარზე 52 ცენტნერი სიმინდი მოიყვანეს, რაც სამნახევარჯერ აჭარბებს გეგმას. იმავე სოფლის ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობაში სიმინდის საშუალო მოსავლიანობამ ჰექტარზე 40 ცენტნერს მიაღწია, ხოლო სოფელ ოქუმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირის სტალინური პრემიის ლაურეატის ჩ. ქვაჩახიას ბრიგადამ საშუალოდ ჰექტარზე მიიღო 82 ცენტნერი სიმინდი, პირადად მან თავის ნაკვეთში ჰექტარზე მოიყვანა 180 ცენტნერი სიმინდი ტაროდ.

მაგრამ ამასთან ერთად აღსანიშნავია, რომ კოლმეურნეობათა ყველა რეზერვი და შესაძლებლობა სათანადოდ ჯერ კიდევ როდია გამოყენებული.

ამ საკითხმა და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის უმნიშვნელოვანესმა საკითხებმა ვერ ჰპოვა ასახვა პარტიის გალის რაიკომის მდივნის ამხ. ო. ნადარაიას მოხსენებაში, რაც არათვითკრიტიკული იყო. მომხსენებელი შეეცადა დელეგატების ყურადღება გადაეტანა მხოლოდ წარმატებებზე და თითქმის არაფერი უთქვამს პირველადი პარტიული ორგანიზაციების, პარტიის რაიკომის და მტს-ის ზონაში ინსტრუქტორთა ჯგუფის მუშაობაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებებზე. მომხსენებელმა გვერდი აუარა იმას, რომ პარტიის რაიკომმა არსებითად ჯერ კიდევ ვერ გარდაქმნა მუშაობა და კვლავ არაოპერატიულად, ზერელედ ხელმძღვანელობს კოლმეურნეობებს. ამის შედეგია ის, რომ რაიონმა თუმცა შეასრულა ჩაის კრეფის წლიური გეგმა (საბჭოთა მეურნეობის ხარჯზე), მაგრამ საკოლმეურნეო სექტორმა ვერ უზრუნველყო ჩაის ფოთლის კრეფისა და ჩაბარების სახელმწიფო დავალების განაღდება.

მთელმა რიგმა კოლმეურნეობებმა წელს ხელიდან გაუშვეს სიმინდის თესვის აგროტექნიკური ვადები, გააჭიანურეს ნათესების დამუშავება, გამოიჩინეს შეუფასებლობა ისეთი პროგრესული მეთოდის გამოყენებისადმი, როგორიც არის სიმინდის კვადრატულ-ბუდობრივი თესვა. სიმინდის კვადრატულ-ბუდობრივი თესვის დავალება შესრულებულ იქნა მხოლოდ 50 პროცენტით. ამის შედეგია, რომ სოფელ თაგილონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში საშუალოდ ჰექტარზე მიღებულ იქნა 8,5 ცენტნერი სიმინდი, ხოლო იმავე სოფლის შვერნიკის სახელობის კოლმეურნეობაში — 3,5 ცენტნერი. ჰექტარზე 6-7 ცენტნერი სიმინდი მიიღეს სოფელ ჭუბურხინჯის კაგანოვიჩის სახელობის და სხვა კოლმეურნეობებმა. მთლიანად რაიონში საშუალოდ ჰექტარზე მიღებულია 15 ცენტნერი სიმინდი გეგმით გათვალისწინებული 17 ცენტნერის ნაცვლად.

მიუხედავად იმისა, რომ რაიონმა გადაჭარბებით შეასრულა წველადობის წლიური გეგმა, საზოგადოებრივი მეცხოველეობა მაინც რჩება საკოლმეურნეო წარმოების ჩამორჩენილ დარგად. დაბალია მეცხოველეობის სასაქონლო პროდუქტიულობა. ყოველი 100 ჰექტარი სავარგულიდან რაიონში საშუალოდ მიღებულია 9,1 ცენტნერი ხორცი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 124 ცენტნერისა.

ჩაშლის კარზეა თამბაქოს მოსავლის გეგმის შესრულება.

ასეთი დაბალი მაჩვენებლები იმითაც არის გამოწვეული, რომ კოლმეურნეობებში მოუწესრიგებელია შრომა.

ყველა ეს და სხვა ნაკლოვანებანი იმით აიხსნება, რომ კოლმეურნეობები მოკლებული არიან კონკრეტულ პარტიულ ხელმძღვანელობას. პარტიის რაიკომი ოპერატიულ მუშაობას ცვლის მრავალი სხდომითა და თათბირებით, იჩენს მშრომელთა ფართო მასებში მასობრივ-პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის შეუფასებლობას.

კონფერენციის ზოგიერთმა დელეგატმა ბოლშევიკური პირდაპირობით ამხილა პარტიის რაიკომის მუშაობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებანი.

სოფელ ზემო ბარღების კოლმეურნეობა „გიგანტის" პარტბიუროს მდივანმა ი. შარიამ და ოქუმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ე. გეთიამ მტს-ს უსაყვედურეს, რომ იგი კოლმეურნეობებს არადამაკმაყოფილებელ ვეტერინარულ მომსახურებას უწევს.

მტს-ის დირექტორმა ი. ყიფიანმა ანალიზი გაუკეთა რაიონის მთელი რიგი კოლმეურნეობების მუშაობას, მოიყვანა სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების უხეში დარღვევის ფაქტები.

პარტიის რაიკომის მდივანმა მტს-ის ზონაში ო. აბესაძემ აღნიშნა, რომ ინსტრუქტორთა ჯგუფი ჯერ კიდევ ნელი ტემპით ახორციელებს მუშაობის გარდაქმნას ახალ მოთხოვნათა შესაბამისად. რაიკომს მივიწყებული აქვს საკოლმეურნეო კადრების, მათ შორის სპეციალისტების დაწინაურებისა და აღზრდის საქმე.

კომკავშირის რაიკომის მდივნის ვ. შარიას, სოფელ ჭუბურხინჯის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის პარტბიუროს მდივნის ტ. ძანძავას გამოსვლა არათვითკრიტიკული იყო. მათ ემჩნეოდათ წარმატებებით დატკბობის მავნე გავლენა.

კონფერენციაზე სიტყვა წარმოთქვა პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. ა. ბონდარევმა.

პარტიის რაიკომის მუშაობა კონფერენციამ დამაკმაყოფილებლად ცნო, აირჩია პარტიის რაიკომისა და სარევიზიო კომისიის ახალი შემადგენლობა, აგრეთვე პარტიის აფხაზეთის XXIII საოლქო კონფერენციის დელეგატები.

* * *

შედგა პარტიის გალის რაიკომის პირველი პლენუმი. რაიკომის პირველ მდივნად არჩეულია ამხ. დ. გოგოხია, მეორე მდივნად — ამხ. ა. ძაძუა და მდივნად მტს-ის ზონაში ამხ. ო. აბესაძე.

ი. გოგეჩია,
„კომუნისტის" საქ. კორესპონდენტი.

◇ ◇

## კომუნისტები განიხილავენ რაიკომის მუშაობას

### ზნაურის რაიონი

კოლმეურნეობებიდან და მტს-დან კომუნისტები მიემართებოდნენ რაიონულ პარტიულ კონფერენციაზე. კულტურის სახლში, სადაც კონფერენციას მუშაობა უნდა დაეწყო, უჩვეულო გამოცოცხლებაა. დელეგატები აქ იმისათვის შეკრებილან, რომ საქმიანად იმსჯელონ პარტიის რაიკომის მიერ საანგარიშო პერიოდში გაწეულ მუშაობაზე, ამხილონ ნაკლოვანებანი, განსაზღვრონ მომავალი ამოცანები.

საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა პარტიის რაიკომის მდივანი ამხ. გ. ტოტჩიევი.

ზნაურის რაიონში ამ გაზაფხულზე საგრძნობლად გადიდდა სიმინდის ნათესი ფართობი, თესვის პროგრესული მეთოდების განხორციელებით მიღწეულია ბოსტნეულისა და კარტოფილის მოსავლიანობის გადიდება. იმატა პირუტყვის პროდუქტიულობამ — თვითეულ საფურაჟე ძროხაზე მიღებულია ორჯერ მეტი რძე, ვიდრე გასულ წელს.

დელეგატები, ლაპარაკობდნენ რა მიღწევებზე, ამასთან მკაცრად აკრიტიკებდნენ რაიონის პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებს, მტს-ის დირექციას, მიუთითებდნენ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის გზებზე.

სამი წელია, რაც ზნაურელებს მარცვლეულისა და, კერძოდ, ხორბლის მოსავლიანობის გეგმა არ შეუსრულებიათ. ასეთივე მდგომარეობაა მებაღეობასა და მევენახეობაშიც.

დელეგატები აღნიშნავდნენ, რომ რაიონში ჯერ კიდევ გამოყენებული არ არის მარცვლეულისა და ტექნიკური კულტურების მოსავლიანობის გადიდების ყველა რეზერვი. დაბალია ნიადაგის დამუშავების კულტურა, ხშირად ირღვევა თესვის აგროტექნიკური წესები, ჯეროვანი შეფასება არ ეძლევა მინერალურ და ორგანულ სასუქებს.

საშემოდგომო ხვნა-თესვის საქმეში ახლაც მეორდება გასული წლის შეცდომები. დელეგატებმა ე. ჯიოევმა და ს. ჩეხოევმა აღნიშნეს, რომ წელს საშემოდგომო ხვნა-თესვა რაიონში დაგვიანებით დაიწყო. ამ დარღვევას ისიც დაემატა, რომ კოლმეურნეობები და მანქანა-ტრაქტორთა სადგური თესვისათვის წინასწარ არ მოემზადნენ. ამიტომ თუმცა რაიონში აგროტექნიკური ვადები დიდი ხანია ამოიწურა, მაგრამ თესვის დამთავრებას ჯერ კიდევ ბევრი აკლია.

კონფერენციაზე განსაკუთრებით მწვავე კამათი გაიმართა მეცხოველეობის საკითხებზე. როგორც გამოირკვა, ამ დარგში მოპოვებულმა მცირეოდენმა წარმატებებმა თვითკმაყოფილება გამოიწვია რაიონის ზოგიერთ მუშაკში. ზნაურელებმა პირუტყვის ძირითად სახეებში სულადობის ზრდის გეგმა შესყიდვის საშუალებით შეასრულეს. დაბალია ძროხების წველადობა, ჩამორჩება მეფრინველეობა და მეღორეობა. ნელი ტემპით მიმდინარეობს პირუტყვის სადგომების მშენებლობა და მექანიზაცია.

ეს ნაკლოვანებები, როგორც აღნიშნავდნენ დელეგატები, გამოწვეულია იმით, რომ პარტიის რაიკომის მუშაკები ოპერატიულად არ ხელმძღვანელობენ კოლმეურნეობებს, ჯერ კიდევ ვერ განთავისუფლებულან ადმინისტრირების ჩვევებისაგან, წვრილმანი საქმეებით გატაცებულნი არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ მასების პოლიტიკური აღზრდისათვის.

რაიკომის პირველი მდივანი გ. ტოტჩიევი, თქვა რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ი. ქოქოევმა, მუშაობაში არ ეყრდნობა აქტივს, ეწევა წვრილმან მეურვეობას, რაც უარყოფით გავლენას ახდენს პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობის მდგომარეობაზე.

სოფელ მუგუთის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ვ. ვალიევმა თქვა: რაიკომის მუშაკები ხშირად იმყოფებიან კოლმეურნეობებში. ეს, რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ სამწუხაროა, რომ მათი მოსვლა გარკვეულ კვალს არ ტოვებს. ნაკლოვანებანი ისევ ნაკლოვანებად რჩება, რადგან შესრულების შემოწმებისათვის აღარ ზრუნავენ.

ილაპარაკა რა რაიკომის არაოპერატიულობაზე, მტს-ის პარტორგანიზაციის მდივანმა ა. პაპაშვილმა აღნიშნა, რომ რაიკომმა დროულად ვერ შეამჩნია საშემოდგომო ხვნა-თესვისათვის სუსტი, არადამაკმაყოფილებელი მზადება მტს-ში. ამიტომ ხვნა-თესვა შეფერხდა.

კონფერენციაზე აღინიშნა, რომ პარტიის რაიკომი სათანადოდ არ ზრუნავს სოფლად პოლიტიკური და იდეოლოგიური მუშაობის მოწოდების სიმაღლეზე დაყენებისათვის. პარტიული განათლების დარგში მუშაობა მოკლებულია ეფექტიან კონტროლს, რის გამო კომუნისტების ერთი ნაწილი დაუდევრობას იჩენს საკუთარი თეორიული ცოდნის დონის ამაღლებისათვის. ნაკლია სალექციო მუშაობაშიც.

კონფერენციაზე სიტყვა წარმოთქვა პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. პ. ცაგარეიშვილმა.

პარტიის რაიკომის მუშაობა კონფერენციამ დამაკმაყოფილებლად ცნო, აირჩია რაიონული კომიტეტის ახალი შემადგენლობა.

* * *

გაიმართა ახლად არჩეული რაიონული კომიტეტის პლენუმი. პლენუმმა პარტიის ზნაურის რაიკომის პირველ მდივნად აირჩია ამხ. ნ. ცხოვრებოვი, მეორე მდივნად — ამხ. მ. ნადირაძე, მდივნად მტს-ის ზონაში — ამხ. რ. გათიკოევი.

ი. თედიაშვილი,
„კომუნისტის" საქ. კორესპონდენტი.

# ლაჯანურჰესის მშენებლებთან

— წლის ამ დროს, ჩემო მეგობარო, ქუთაისში როცა წვიმს, უნდა ივარაუდო, რომ ორბელის წვერზე თოვა იქნება — ასე მითხრა ქუთაისში ძველმა …ობრმა ლეჩხუმელმა და მართლაც აღმოჩნდა.

ორბელის მთა, რომელიც გამზავე…ივით შუაში ჩასდგომია ცხენისწყლისა და ლაჯანურის ჭალებს, თეთრად გადაფიფქული დახვდა ჩვენს ავტობუსს. ავტობუსის მძღოლმა, ეტყობა, ეს შორიდანვე შეამჩნია. ადრევე …აცხადა, მანქანა ორბელს იქით …ერ წავა, აქედანვე იცოდეთო, და …ომ იმ საღამოს ლაჯანურჰესის …ებელთა საცხოვრებელი დაბის …რა, მაგრამ სანიმუშოდ მოწყობილ სასტუმროს მრავალი სტუმარი ეწვია.

— ნეტავ სულაც აქ დარჩებოდეთ, …შაოს ყველა თქვენგანს უშოვნის …ი მშენებლობის უფროსი, სულ …საყვედურშია — მუშები გვაკლია, …ახლისო, ლამის შენც გვირაბში …შაოდ გაგგზავნოთო… მობრძან…, თქვენი ჭირიმე, მობრძანდით! — …ვია მგზავრები სასტუმროს დია…ლისმა.

მუშახელის საკითხი ლაჯანურჰესის …ებლობაზე თურმე ყველაზე მწვა…და ნამდვილად სასწრაფოდ გადასაჭ…ლი ყოფილა.

მშენებლობის უფროსმა გიორგი წუ…კირმა და მთავარმა ინჟინერმა რე…კლდიაშვილმა გადმოალაგეს ქაღალდები და საბუთებით ხელში დაამტკიცეს, რომ ახლა ლაჯანურჰესზე …ით მუშახელის იმ რაოდენობის …ვარი, რაც უნდა ჰყავდეთ. მაგრამ მიუხედავად ამისა, მშენებელთა კოლექტივი სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმებს მაინც გადაჭარბებით ასრულებს და საუკეთესო მაჩვენებლებს აღწევს.

მთავარი სამუშაო ახლა აქ გვირაბების გაყვანაა. მშენებელთა ხელმძღვანელებმა უბნებზე, ცალკე სამშენებლო ობიექტებზე მომუშავე ინჟინერ-ტექნიკოსებმა მშენებლებს ასწავლეს და შეაყვარეს გვირაბმშენებლობა. ხალხი ისე გაიწაფა, დაოსტატდა ამ საქმეში — გვირაბის გაყვანაში, რომ ბევრმა მათგანმა თავისი ხელობა ხელოვნების სიმაღლემდე აიყვანა. ასეთი სახელოვანი გვირაბმშენებელია, მაგალითად, დავით ოთარაშვილი, რომელსაც გვირაბმშენებლობის სიყვარული და ამ პროფესიის სრულყოფილად დაუფლებისადმი ლტოლვა ორბელის მთის გულში სამგორის ველიდან, ერთ-ერთი გვირაბის მშენებლობიდან გაჰყვა. თავიანთი საქმის ასეთივე მაღალკვალიფიციური ოსტატები არიან ილია ასლამაზოვი, სოფრო ჩიქნიზოვი, გვირაბგასაყვანი უზარმაზარი მექანიზმის — ფარის მარკშეიდერები სერგო ჩაჩხიანი და ალექსანდრე მარუსინი. ყველას ვერ ჩამოთვლი, ბევრნი არიან.

ლაჯანურჰესელმა გვირაბმშენებლებმა მიუხედავად მცირერიცხოვნობისა, ისე მაღალნაყოფიერად იმუშავეს, რომ წელს მესამე კვარტალში საკავშირო პირველობა, საკავშირო პროფსაბჭოს და სსრ კავშირის ელექტროსადგურების სამინისტროს გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია მოიპოვეს.

საინტერესოა: ისეთი დიამეტრის გვირაბის გაყვანაში, როგორიც აქ გაჰყავთ, თვეში 75-80 გრძივი მეტრით წინსვლა, საერთოდ, საუკეთესო მაჩვენებლად ითვლება. ლაჯანურჰესელმა გვირაბმშენებლებმა კი ივლისში გვირაბის ხაზი წინ წასწიეს 94 გრძივი მეტრით, აგვისტოში — 108 მეტრით, ხოლო სექტემბერში — 110 მეტრით. ამიტომაც მოიპოვეს საკავშირო პირველობა. საუკეთესო მაჩვენებლებით აღნიშნეს შემდგომი თვეებიც — ოქტომბერი და ნოემბერი.

მაგრამ ამიერიდან ლაჯანურჰესელებს ბევრი სხვა სამუშაოც მიელის. მათ აღარ ექნებათ იმის საშუალება, რომ ორგანიზებულობით აინაზღაურონ მუშახელის სიმცირე. საჭიროა გვირაბამდე წყალმისაყვანი არხის გათხრა საგრძნობ მანძილზე. შემდეგ საჭირო იქნება ამ არხის მოპირკეთება. არხის სათავის მახლობლად მდინარე ცხენისწყალზე უნდა აგონ მცირე წნევის, მაგრამ რამდენიმე ათი მეტრის სიმაღლის კაშხალი, გადმოღმა ლაჯანურის ხეობაშიც ყველა ჰიდროტექნიკური ნაგებობანი უნდა გაამზადონ ცხენისწყლის მისაღებად და ამრიგად განახორციელონ დიდი ხნის ოცნება ცხენისწყლის ნაწილის გადმოგდებისა ჯერ მდინარე ლაჯანურის კალაპოტში, ხოლო შემდეგ — რიონის ხეობაში.



საჭირო და ამასთან საგრძნობლად რთულ ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა მშენებლობის გასაჩაღებლად აუცილებელი არიან ახალი ადამიანები. გვირაბმშენებლებმა კი კიდევ უფრო სწრაფად, მეტი წარმატებით უნდა განაგრძონ სანგრევი ხაზის წინ წაწევა, თორემ მთავრობის მიერ დანიშნული ვადისათვის ვერ მოახერხებენ ცხენისწყლის გადმოგდებას რიონში.

ლაჯანურჰესი ორიგინალური, გონებამახვილურად დამუშავებული სქემის მიხედვით შენდება. ეს სქემა გულისხმობს ორი მდინარის წყლის რესურსების კომბინირებულად გამოყენებას. საინტერესოა, რომ, როგორც ახლა გამოირკვა, ამ სქემის იდეა დამპროექტებლებისათვის ჩაუგონებია ყოფილ რიონჰესელ მუშას, გლეხის ოჯახიდან გამოსულ გონებასახლ კაცს, ამჟამად პენსიონერს მინა გვენცაძეს. მისი იდეის შემდგომი განვითარების შედეგად ჰიდროელექტროსადგურის პროექტის ავტორებმა შექმნეს შესანიშნავი კომპლექსი ლაჯანურჰესისა, რომელიც საქართველოს ჰიდროენერგეტიკოსთა სიამაყე იქნება.

ვინ უნდა ააშენოს ეს ნაგებობა, თუ არა საქართველოს მშრომელებმა! მშენებლობაზე კოლმეურნეობებიდან თავისუფალი მუშახელის გაგზავნით იმ პირობებში, როგორც ახლა ხდება, ლაჯანურჰესის მშენებლობას კიდევ მრავალი წელიწადი დასჭირდება. რესპუბლიკის მზარდი სახალხო მეურნეობა კი დაუყოვნებლივ, დღესვე მოითხოვს უხვ და იაფ ელექტროენერგიას. ამიტომ საჭიროა ახალი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის ჩქაროსნულად წარმართვა.

ლაჯანურჰესის მშენებლობისათვის მეორე მთავარი, მტკივნეული საკითხია ავტოტრანსპორტის გაუმართავი მუშაობა.

როგორც ცნობილია, რესპუბლიკის მშენებლობებისათვის მომსახურების გაწევა — საშენი მასალების, სურსათსანოვაგის, მექანიზმთა ნაწილების და სხვ. მიზიდვა დაკისრებული აქვთ საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტისა და გზატკეცილების სამინისტროს სათანადო ავტოსატრანსპორტო კანტორებს. ლაჯანურჰესს უნდა ემსახურებოდეს ქუთაისის ავტოსატრანსპორტო კანტორა. მაგრამ ამ მოვალეობას იგი ცუდად ასრულებს.

ზამთარი დადგა. თუ ქუთაისში არა, ყოველ შემთხვევაში იქ, სადაც ლაჯანურჰესის მშენებლობაა გაჩაღებული, უკვე ზამთარია, დღედღეზე მოსალოდნელია ზოგ სამშენებლო ობიექტზე მისასვლელი გზის ჩაკეტვა, ხოლო იმისათვის, რომ გვირაბმშენებლებმა შეუფერხებლად განაგრძონ მუშაობა ამის საშუალება არა აქვთ. არ მოეპოვება ტიუბინგების მარაგი. უამისოდ კი გვირაბგასაყვანი ფარიც დაუქმდება, ერექტორიც გაჩერდება და გვირაბმშენებლებიც გაცდებიან. აქ ერთ-ერთ მთაზე გზატკეცილი გადადის. ციცაბო ფერდებზე დაკლაკნილი გზატკეცილი როდი იზიდავს ქუთაისის ავტოსატრანსპორტო კანტორის მანქანათა მძღოლებს. ამის გამო კანტორის ხელმძღვანელებმა უარი განაცხადეს დანიშნულ ადგილამდე ტიუბინგების მიტანაზე და მოითხოვეს უფრო აქეთ, 18 კილომეტრით გადმოეწიათ მათთვის ტიუბინგების გადმოტვირთვის ადგილი. მშენებლობის ხელმძღვანელები ამაზეც დათანხმდნენ, მაგრამ ავტოსატრანსპორტო კანტორამ ტიუბინგების მარაგი ვერც აქ შექმნა. ახლა მშენებლებს იმის იმედი აქვთ, რომ სამინისტრო, შეიტყობს რა ყოველივე ამას, სასწრაფოდ გამოასწორებს მდგომარეობას.

* * *

ცაგერის რაიკომის მდივანი ამხ. გ. ჩაჩხიანი დიდი სიყვარულით და სიამაყით გვიამბობდა ლაჯანურჰესელ მშენებელთა შრომითი თავდადების შესახებ. — ვეხმარებით და კვლავაც დავეხმარებით მათ, რამდენადაც ეს ჩვენთვის შესაძლებელი იქნებაო, — ამბობდა იგი. ასევე მოელიან მხარდაჭერას მშენებლები ქვემო სვანეთის, ამბროლაურის, ონის და სხვა მეზობელი რაიონების ხელმძღვანელებისაგან, თუმცა ისინი ჯერ ვერ დაიკვეხნიან — ვეხმარებით ლაჯანურჰესელებს, რამდენადაც შეგვიძლიაო.

ლაჯანურელი მშენებლები სამართლიანი საყვედურით იხსენიებენ ზოგ რესპუბლიკურ ორგანიზაციასაც, მაგალითად, ხელოვნების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტს. ინჟინრები გ. კუჭუხიძე, მ. გობრონიძე, ვ. ხეცურიანი, გეოლოგი მედეა ჭედია მოგვითხრობდნენ, თუ რა დიდი კმაყოფილება განიცადეს აქ მათ, როცა ჩამოვიდა ჩვენი ესტრადის ცნობილი ოსტატი ოლღა დოლიძე — გვასახელა სხვა რესპუბლიკებიდან აქ ჩამოსულ მშენებლებთანო.

ლაჯანურჰესის მშენებელთა დაბა, რომელსაც მშვენივრად მოწყობილი თეატრი და ღია ესტრადა აქვს, მიუვალ ადგილას როდია გაშენებული.

— ხელოვნება, ხელოვნების საუკეთესო ნიმუშების ნახვა აღგვაფრთოვანებს, ენერგიას გვმატებს ახალი მიღწევებისათვის ბრძოლაში. მაგრამ ხალხისათვის ხელოვნების მნიშვნელობაზე ხელოვნების ზოგ მუშაკს, ეტყობა, საკმაოდ ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს. და ალბათ ამიტომ არის, რომ ჩვენთან ისინი იშვიათად ჩამოდიან. ასე თქვა მშენებლობის უფროსმა სხვების მიერ გამოთქმული საყვედურების დასადასტურებლად.

მშენებლების ასეთი შეხედულება სიმართლეს მოკლებული არ უნდა იყოს.

დ. ლომთაძე,
„კომუნისტის" სპეც. კორესპონდენტი.

* * *

**სურათზე:** ლაჯანურჰესის მშენებლობაზე. ფარით გავლილი გვირაბის ერთერთი, ტიუბინგებით ამოგებული უბანი.

ფოტო პ. ლუცენკოსი.

# გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის X სესია

## პოლიტიკურ კომიტეტში

ნიუ-იორკი, 7 დეკემბერი. (საკდესი). 5 დეკემბერს პოლიტიკურ კომიტეტში გრძელდებოდა საერთო დისკუსია განიარაღებისა და საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომი შენელების ღონისძიებათა საკითხზე.

სხდომაზე გამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების დელეგატი ლოჯი. თითქმის მთელი მისი სიტყვა მიეძღვნა აეროფოტოგადაღების შესახებ ამერიკის წინადადების რეკლამირებას. ქება-დიდება შეასხა რა ფოტოგადაღების მასშტაბის თვალსაზრისით საჰაერო ინსპექციის „მოხერხებულობას", ლოჯმა ამასთან ერთი სიტყვაც არ თქვა იმაზე, აქვს თუ არა მას რაიმე მნიშვნელობა გამალებული შეიარაღების შეწყვეტისათვის.

ლოჯმა დამახინჯებულად წარმოადგინა სსრ კავშირის პოზიცია შეიარაღების შემცირებისა და ატომური იარაღის აკრძალვის საკითხში და განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირი თითქოს დაჟინებით მოითხოვს ატომური იარაღის მოსპობას სათანადო ეფექტიანი კონტროლის დაუწესებლად.

ამტკიცებდა რა შემდეგ, თითქოს ამერიკის წინადადება აეროფოტოგადაღების შესახებ განკუთვნილია არა იმისათვის, რომ შეცვალოს შეიარაღების საერთო პროგრამა, არამედ იმისათვის, რომ ასეთივე პროგრამის „პრელუდია" იყოს, ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა ამასთან კონკრეტული არაფერი არ თქვა შეიარაღების შემცირების ამოცანაზე. მან აგრეთვე დუმილით აუარა გვერდი ატომური იარაღის გამოყენების მორალური დაგმობის საკითხს. უფრო მეტიც, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების დამოწმებით ლოჯი ცდილობდა ლეგალური გაეხადა ატომური იარაღის გამოყენება. მან განაცხადა, რომ „შეერთებული შტატები ატომურ იარაღს ან ყოველგვარ სხვა იარაღს არ გამოიყენებენ... როგორმე სხვანაირად, თუ არა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების შესაბამისად და აგრესიის წინააღმდეგ თავდაცვის მიზნით!".

ამრიგად, ნაცვლად იმისა, რომ უარი თქვან ატომური იარაღის გამოყენებაზე ან მორალურად დაგმონ მასობრივი მოსპობის იარაღი, ამერიკის შეერთებული შტატები აცხადებენ, რომ მზად არიან ატომური იარაღი გამოიყენონ ...გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების შესაბამისად. თუ გავითვალისწინებთ იმას, რა იოლად ეკიდებიან ამერიკის შეერთებული შტატები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას, და „აგრესორებს" უწოდებენ ისეთ სახელმწიფოებს, რომელთა პოლიტიკური რეჟიმი მათ არ მოსწონთ, მაშინ ცხადი გახდება ამ დეკლარაციის აზრი.

დასასრულ ლოჯმა მოითხოვა მოწონებულ იქნას ამერიკის გეგმა საჰაერო ინსპექციის შესახებ.

ერაყის დელეგატის ჯემალის სიტყვა, რომელმაც დაუშვა ცილისმწამებლური გამოხდომები სსრ კავშირის წინააღმდეგ, ნავარაუდევი იყო იმისათვის, რომ ჩაეშალა საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომი შენელების ღონისძიებათა საკითხის საქმიანი განხილვა. კომიტეტის თავმჯდომარე მუნრო იძულებული გახდა რამდენჯერმე შეეჩერებინა ჯემალი და მისი ყურადღება მიექცია იმისადმი, რომ მის ვრცელ მსჯელობას არავითარი დამოკიდებულება არა აქვს განსახილველ პრობლემასთან.

ახალი ზელანდიის დელეგატმა კორნერმა ილაპარაკა, რათა გაემართლებინა პოზიცია დასავლეთის სახელმწიფოებისა, რომლებიც ხელს უშლიან განიარაღების პრობლემაზე შეთანხმების მიღწევას. მან გულახდილად განაცხადა, რომ განიარაღების შესახებ საბჭოთა წინადადების მთავარი „ნაკლი" ის არის, რომ მისი განხორციელება დასავლეთ სახელმწიფოებს წაართმევდა ატომურ შეიარაღებას, ხოლო ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალებს — მოხერხებულ სამხედრო ბაზებს, საიდან მოქმედებითაც მათ შეუძლიათ ატომური ბომბები მიიტანონ „დედამიწის ყოველ ნაწილში".

ირანის წარმომადგენელი ენთეზამი ცდილობდა გაემართლებინა ირანის შეერთება ბაღდადის სამხედრო პაქტთან. მან მხარი დაუჭირა ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთისა და კანადის რეზოლუციის პროექტს.

ბელორუსიის სსრ დელეგაციის მეთაურმა კ. ვ. კისელიოვმა აღნიშნა, რომ ერაყის წარმომადგენლის სიტყვა, რომელიც წარმოთქმული იყო „ცივი ომის" სულისკვეთებით, განკუთვნილია მხოლოდ იმისათვის, რომ კომიტეტის ყურადღება ჩამოაშოროს შეიარაღების შემცირებისა და მასობრივი მოსპობის იარაღის აკრძალვის უმნიშვნელოვანესი პრობლემის განხილვას.

შემდეგ კისელიოვმა აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლის განცხადება იმას მოწმობს, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა არსებითად უარი თქვეს განაგრძონ ღონისძიებანი შეიარაღებისა და ატომური იარაღის აკრძალვის პრობლემის გადაჭრისათვის. იმისათვის, რომ მიჩქმალონ უარი წინათ შემოტანილ წინადადებებზე, თქვა კისელიოვმა, და რომ თავი გაიმართლონ მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის წინაშე, ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა ლოჯმა და ინგლისის წარმომადგენელმა ნატინგმა კვლავ პირველ პლანზე დააყენეს კონტროლისა და ინსპექციის საკითხი. აღნიშნა რა, რომ საბჭოთა კავშირი ყოველთვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ეფექტიან საერთაშორისო კონტროლს განიარაღებისადმი, ბელორუსიის სსრ წარმომადგენელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ლაპარაკი კონტროლზე, როცა კონტროლის ობიექტი, ე. ი. განიარაღება, არ არსებობს, წარმოადგენს ცდას გაერთიანებული ერების ორგანიზაცია გადაიყვანონ ძველ გზაზე, რომლითაც შეიარაღების შემცირებისა და ატომური იარაღის აკრძალვის საკითხი იცვლებოდა წინადადებით შეიარაღების გამოვლინებისა და შემოწმების შესახებ.

ბელორუსიის სსრ დელეგატმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ დიდ სახელმწიფოებს რომ ეკისრათ ვალდებულება — პირველებს არ ეხმარათ ატომური და წყალბადის იარაღი რომელიმე ქვეყნის წინააღმდეგ, ეს იქნებოდა ატომური ომის საფრთხის თავიდან აცილების უმნიშვნელოვანესი საშუალება.

სამხედრო ინფორმაციისა და ფოტოგადაღების გაცვლის შესახებ ამერიკის წინადადების გამო კისელიოვმა განაცხადა, რომ ეს წინადადება რომ დაკავშირებული ყოფილიყო შეიარაღების შემცირებისა და ატომური იარაღის აკრძალვის პროგრამასთან, მაშინ შეიძლებოდა მისი კეთილმოსურნეობით განხილვა როგორც განიარაღების შესახებ შეთანხმების შესრულებისადმი კონტროლის ერთ-ერთი ფორმისა შესაბამის სტადიაზე. მაგრამ ამერიკის ამ წინადადებაში სამხედრო ინფორმაციისა და აეროფოტოგადაღების გაცვლა, თქვა კისელიოვმა, მიჩნეულია როგორც თვითმიზანი, როგორც განცალკევებული ღონისძიება, რომელიც სრულიად მოწყვეტილია გამალებული შეიარაღების შეწყვეტისა და ატომური იარაღის აკრძალვის ამოცანებს.

დასასრულ კისელიოვმა მხარი დაუჭირა სსრ კავშირის დელეგაციის რეზოლუციის პროექტს „საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომი შენელებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების ღონისძიებათა შესახებ".

# სსრ კავშირიდან გაემგზავრა „ფინეთ-საბჭოთა კავშირის" საზოგადოების დელეგაცია

ლენინგრადი, 7 დეკემბერი. (საკდესი). გუშინ სამშობლოში გაემგზავრა „ფინეთ-საბჭოთა კავშირის" საზოგადოების დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს ბ-ნი არვი ტორვი. ფინეთის საზოგადო მოღვაწეები იყვნენ მოსკოვში, კიევში, თბილისში, სოხუმში, ლენინგრადში, გაეცნენ საბჭოთა ადამიანების ცხოვრებას, დაათვალიერეს საწარმოები და კულტურული დაწესებულებანი. დელეგაციის წევრებმა მონაწილეობა მიიღეს ფინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერთთვიურისადმი მიძღვნილ საზეიმო საღამოებში.

სსრ კავშირიდან გამგზავრების წინ დელეგაციის მეთაურმა ბ-ნმა არვი ტორვიმ საკდესის კორესპონდენტს განუცხადა:

— ჩვენ იმ ორგანიზაციის წარმომადგენლები ვართ, რომლის მიზანია განამტკიცოს მეგობრობა საბჭოთა კავშირთან. ამიტომ თვითეულ ჩვენგანს უნდოდა რაც შეიძლება მეტი გაეგო საბჭოთა ქვეყნის ცხოვრების შესახებ. ჩვენ ყველგან ვგრძნობდით გულწრფელობას, მეგობრობას, განსაკუთრებულ ყურადღებასა და მზრუნველობას. აღსანიშნავია, რომ ჩვენ გვიჩვენებდნენ არა მარტო მიღწევებს, — საბჭოთა ადამიანები არ გვიმალავდნენ თავიანთ ნაკლოვანებებსაც, გვაცნობდნენ პერსპექტივებს.

მოხარული ვართ, რომ ჩვენი ხალხების მეგობრობა და თანამშრომლობა მტკიცდება.

# ნერუ ბაღდადის პაქტის შესახებ

დელი, 6 დეკემბერი. (საკდესი). როგორც გაზეთი „ჰინდუსტან სტანდარდი" იუწყება, ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ნერუმ, რომელიც გუშინ გამოვიდა სახალხო პალატაში (ინდოეთის პარლამენტის ერთ-ერთი პალატა.— რედ.), განაცხადა, რომ ბაღდადის პაქტი „ყველაზე არაკეთილსასურველი და სამწუხარო მოქმედებაა იმ ქვეყნებისა, რომლებიც მას შეუერთდნენ". „იგი სამწუხაროა, — თქვა ნერუმ, — მშვიდობისა და უშიშროების თვალსაზრისით".

# ჩერჩილის გამოსვლა ვუდფორდში

ლონდონი, 6 დეკემბერი. (საკდესი). 5 დეკემბერს ვუდფორდში ახალგაზრდა კონსერვატორთა კრებაზე გამოვიდა ყოფილი პრემიერ-მინისტრი ჩერჩილი, რომელიც შეეხო, კერძოდ, ტექნიკური განათლების საკითხებს.

„ეს, — თქვა ჩერჩილმა, — უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხია, რომელშიც ინგლისი შეურიგდა იმას, რომ მისთვის გაესწროთ. რუსეთმა უკვე გაგვისწრო იმდენად, რომ ეს ძლიერ შეშფოთებას იწვევს. უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში საბჭოთა ტექნიკური სწავლება მანქანათმშენებლობის დარგში იმდენად ვითარდებოდა როგორც რაოდენობის, ისე ხარისხის მხრივ, რომ დიდად სჭარბობს იმას, რასაც ჩვენ მივაღწიეთ. ამ საკითხს დაუყოვნებლივ უნდა მიექცეს ყურადღება მისი უდიდებულესობის მთავრობამ".

# ინგლისის პარლამენტში

ლონდონი, 7 დეკემბერი. (საკდესი). გუშინ ლეიბორისტი მეიზონი შეეკითხა თემთა პალატაში პრემიერ-მინისტრ იდენს, ხომ არ მოითხოვს იგი, როცა შეხვდება პრეზიდენტ ეიზენჰაუერსა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ბულგანინს, რომ განიხილონ ატომური და წყალბადის ბომბების გამოცდის შეწყვეტის საკითხი.

როგორც პრეს ასოშიეიშნის სააგენტო იუწყება, იდენმა უპასუხა: „ჩვენი გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ ვაწარმოოთ წყალბადის ბომბები, გამოქვეყნდა 17 თებერვლის განცხადებაში თავდაცვის შესახებ, რომელიც თემთა პალატამ მოიწონა 2 მარტს. ინგლისის მთავრობა არ აპირებს გადაუხვიოს ამ გადაწყვეტილებას".

# შ. რაშიდოვისა და ნ. ა. მიხაილოვის შეხვედრა ინდური ლიტერატურის წარმომადგენლებთან

დელი, 6 დეკემბერი. (საკდესი). 5 დეკემბერს უზბეკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე შ. რაშიდოვი და სსრ კავშირის კულტურის მინისტრი ნ. ა. მიხაილოვი შეხვდნენ თანამედროვე ინდური ლიტერატურის წარმომადგენლებს.

შეხვედრას დაესწრნენ თვალსაჩინო მწერლები და პოეტები ინდოეთის სხვადასხვა რაიონიდან, მათ შორის კრიშან ჩანდრი, ტენდულკარი, ჩანდრაგუპტა ვიდიალანკარი, პ. ნარაიან აჩარია, პრაბჰაკარ მაჩული, ქ-ნი ამრიტა პრიტამი, სრივასტავა და სხვები.

შეხვედრის დროს მოხდა აზრთა მეგობრული ურთიერთგაზიარება საბჭოთა და ინდური ლიტერატურის საკითხებზე, აგრეთვე ინდოეთისა და საბჭოთა კავშირს შორის ლიტერატურის დარგში გაცვლის შემდგომი გაფართოების გზების შესახებ.

შ. რაშიდოვმა და ნ. ა. მიხაილოვმა ინდოელ მწერლებს გააცნეს საბჭოთა ლიტერატურის მიღწევები, წიგნების გამოცემა საბჭოთა კავშირში, ინდური ენებიდან რუსულ და სსრ კავშირის ხალხთა სხვა ენებზე ლიტერატურულ ნაწარმოებთა თარგმნის გაფართოების გეგმები. მათ აგრეთვე დაწვრილებით გამოჰკითხეს დამსწრეთ ინდოელი მწერლების ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ, დაინტერესდნენ მათი შემოქმედებითი გეგმებით.

თავის მხრივ ინდოელ მწერლებს აინტერესებდათ საბჭოთა მწერლების შემოქმედება, მათ შორის უკრაინის, კავკასიისა და შუა აზიის ხალხების თანამედროვე ლიტერატურა. მათ, კერძოდ, დიდი ინტერესი გამოიჩინეს საბჭოთა დრამატურგიის განვითარების საკითხებისა და საბჭოთა დრამატურგების შემოქმედებითი გეგმებისადმი.

ინდოელმა მწერლებმა გამოთქვეს მთელი რიგი საინტერესო წინადადებანი საბჭოთა და ინდოელ მწერლებს შორის ურთიერთობის განმტკიცებაზე. იმაზე, თუ როგორ უნდა გავაცნოთ უკეთ ინდოეთის მკითხველებს საბჭოთა ლიტერატურა და საბჭოთა მკითხველებს ინდოეთის ლიტერატურა.

# კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

ფხენიანი, 7 დეკემბერი. (საკდესი). დღეს გაზეთ „ნოდონ სინმუნში" გამოქვეყნებულია ცნობა, რომ 2 და 3 დეკემბერს გაიმართა კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. პლენუმმა განიხილა საკითხი სოფლის მეურნეობის მალე აღდგენისა და განვითარების შემდგომ ღონისძიებათა თაობაზე პარტიის ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის დადგენილების შესრულების შესახებ და პარტიის მე-3 ყრილობის მოწვევის საკითხი.

მოხსენება პირველ საკითხზე გააკეთა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარის მოადგილემ და მიწათმოქმედების მინისტრმა კიმ ირმა.

პლენუმზე გამოვიდა შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. კიმ ირ სენი.

პლენუმმა გადაწყვიტა შრომის პარტიის მე-3 ყრილობა მოიწვიოს 1956 წლის აპრილში შემდეგი დღის წესრიგით:

1. საანგარიშო მოხსენება კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ (მომხსენებელი პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე კიმ ირ სენი);
2. საანგარიშო მოხსენება კორეის შრომის პარტიის ცენტრალური სარევიზიო კომისიის მუშაობის შესახებ (მომხსენებელი პარტიის ცენტრალური სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე ლი ჯუ ენი);
3. კორეის შრომის პარტიის წესდებაში შესწორებათა შეტანის შესახებ (მომხსენებელი პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე პაკ დენ აი);
4. პარტიის ცენტრალური ხელმძღვანელი ორგანოების არჩევნები.

# პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის აღმასრულებელი ბიუროს და საერთაშორისო პროფკავშირულ გაერთიანებათა წარმომადგენლების სხდომა

პრაღა, 6 დეკემბერი. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტოს ცნობით, 5 დეკემბერს პრაღაში გაიხსნა პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის აღმასრულებელი ბიუროს და პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციასთან არსებული საერთაშორისო პროფკავშირულ გაერთიანებათა წარმომადგენლების გაერთიანებული სხდომა.

სხდომის მონაწილენი განიხილავენ პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციასთან არსებულ საერთაშორისო პროფკავშირულ გაერთიანებათა ამოცანებს მუშათა კლასის ერთიანობის განმტკიცების საქმეში, აგრეთვე ორგანიზაციულ პრობლემებს.

# არგენტინაში მზადდება კანონპროექტი კომუნისტური პარტიის აკრძალვის შესახებ

ბუენოს-აირესი, 7 დეკემბერი. (საკდესი). პრესის ცნობებით, არგენტინაში მზადდება კანონპროექტი არგენტინის კომუნისტური პარტიის აკრძალვის შესახებ. მთავრობის წრეებთან ახლო მდგომმა გაზეთებმა დაიწყეს კამპანია კომპარტიის წინააღმდეგ.

პროექტი კანონისა კომპარტიის აკრძალვის შესახებ უნდა განიხილოს მთავრობის საკონსულტაციო ხუნტამ, რომლის მთელი რიგი წევრები ამ კანონის წინააღმდეგი არიან. კომპარტიის აკრძალვის წინააღმდეგ ილაშქრებენ ხუნტის წევრები პროგრესულ-დემოკრატიული პარტიისაგან, რადიკალური პარტიის შეურიგებელთა ფრაქციისაგან, არგენტინის საზოგადოებრიობის ფართო წრეები და დროებითი მთავრობის ზოგიერთი მინისტრი.

# ინგლის-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერთთვიურის [illegible]

ამ დღეებში მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრში უცხოეთთან კულტურ- ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებ- მოაწყო ინგლის-საბჭოთა კავშირის მეგობრობ- ერთთვიურისადმი მიძღვნილი საღამო.

მოხსენება თემაზე „ინგლის-საბჭოთა კავში- რის კულტურული ურთიერთობა" გააკე- სტალინის სახელობის თბილისის სახელმწ- უნივერსიტეტის დოცენტმა გ. გაჩეჩილაძემ.

საღამოზე მისასალმებელი სიტყვებით გამ- ვიდნენ მარჯანიშვილის სახელობის თეატ- დირექტორი, ხელოვნების დამსახურებუ- მოღვაწე ივ. გვინჩიძე და თბილისის უცხო ე- თა ინსტიტუტის სტუდენტი ვ. ლეჟავა.

დასასრულ წარმოდგენილ იქნა ცნობი- ინგლისელი დრამატურგის ბერნარდ შოუს პ- სა „პიგმალიონი".

# გადასასვლელი მატჩი

გუშინ ქუთაისში გაიმართა მორიგი გადას- ვლელი მატჩი ფეხბურთში თბილისის ოფიც- თა საოლქო სახლისა და ქუთაისის „დინამ- გუნდებს შორის. 45-წუთიან ბრძოლას შე- არ მოუცია. შეჯიბრების მეორე ნახევარში უ- რატესობა არმიელ ფეხბურთელთა მხარ- იყო. მათ მოწინააღმდეგის კარში სამი ბურ- გაიტანეს და მოიგეს შეჯიბრება ანგარიშ- 3:0.

ამრიგად, თბილისის ოფიცერთა საოლქო ს- ლის გუნდმა შეინარჩუნა „ბ" კლასში ყოფ- უფლება.

# ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების სწავლულ ეკონომისტთა საკოორდინაციო თათბირი

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემ- ეკონომიკის ინსტიტუტში (მახარაძის ქ. № ა. წ. 9-10 დეკემბერს შედგება ამიერკავკას- საბჭოთა რესპუბლიკების სწავლულ ეკო- მისტთა რეგიონალური საკოორდინაციო თ- ბირი, მიძღვნილი სოფლის მეურნეობის ეკო- მიკის საკითხებისადმი. თათბირზე მოსმე- იქნება შემდეგი მოხსენებები:

ქ. თბილისის საგარეუბნო ზონის სოფ- მეურნეობის შესწავლის საკითხისათვის (მ- ხსენებელი საქართველოს სსრ მეცნიერე- აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის სოფ- მეურნეობის ეკონომიკის განყოფილების გ- ა. ნუცუბიძე); სოფლის მეურნეობის ზონალ- განლაგების გამოცდილება აზერბაიჯანის მთიანი რაიონების პირობებში (მომხსენებ- აზერბაიჯანის სსრ მეცნიერებათა აკადემ- ეკონომიკის სექტორის უფროსი მეცნიერი- ნამშრომელი ხ. ჯანუმიანი); სოფლის მეურნ- ბის განლაგება და სპეციალიზაცია სომხე- სს რესპუბლიკაში (მომხსენებელი სომხე- სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ი- ტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომ- ხ. ხრიმლიანი); საქართველოს სსრ კოლმე- ნეობებში შრომის ანაზღაურების პროგრეს- სისტემის საკითხისათვის — ლაგოდეხის ი- იონის კოლმეურნეობათა მაგალითზე (მომხს- ბელი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკ- მიის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მ- ნიერი თანამშრომელი კ. ლოლობერიძე).

საკოორდინაციო თათბირი დაიწყება 9 დე- კემბერს დღის 2 საათზე.

დასწრება თავისუფალია.

რედაქტორი გ. ფირცხალავა.

# ანტარქტიკის კომპლექსურ-მეცნიერული შესწავლა

1957 წლის ივლისში იწყება მესამე საერთაშორისო გეოფიზიკური წელი, რომელიც გაგრძელდება 1958 წლის ბოლომდე.

1955 წლის ივლისში პარიზში გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა მესამე საერთაშორისო გეოფიზიკური წლის პროგრამის გამომუშავებას და მისი შესრულების ორგანიზაციას. ამ უდიდესი ერთობლივი სამეცნიერო კვლევის პროგრამის დაზუსტება და დამტკიცება მოხდა მიმდინარე წლის სექტემბერში ქ. ბრიუსელში (ბელგია) საერთაშორისო გეოფიზიკური წლის ჩამტარებელი სპეციალური კომიტეტის სხდომაზე. თათბირზე მონაწილეობდნენ 37 სახელმწიფოს დელეგატები.

მოკლე ხანში ოცდაათზე მეტი სახელმწიფოს სამეცნიერო-კვლევითი ექსპედიციები გაემგზავრებიან დედამიწის სხვადასხვა ადგილებში და ერთდროულად ჩაატარებენ კომპლექსურ გეოფიზიკურ და გეოგრაფიულ კვლევას.

საერთაშორისო გეოფიზიკური წლის პროგრამის ძირითად ნაწილს წარმოადგენს ანტარქტიკის გამოკვლევა, რაშიც მონაწილეობას მიიღებს ათზე მეტი სახელმწიფო.

პროგრამის თანახმად ამ დღეებში საბჭოთა კავშირმა ანტარქტიკის კონტინენტზე და სამხრეთ პოლარულ აუზში გააგზავნა სამეცნიერო ექსპედიცია გეოფიზიკური კვლევის ჩასატარებლად. ექსპედიციას აწყობს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემია. ექსპედიციის ხელმძღვანელად დანიშნულია პოლარული ქვეყნების ცნობილი საბჭოთა მკვლევარი გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი მ. მ. სომოვი.

საბჭოთა ანტარქტიკული ექსპედიცია სამეცნიერო-კვლევით მუშაობას ჩაატარებს ანტარქტიკის კონტინენტზე — ანტარქტიდაზე და სამხრეთ პოლარულ წყლებში, რომლებიც ანტარქტიდას გარს ერტყმიან. ოკეანოგრაფიულ კვლევას უხელმძღვანელებს გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი ვ. გ. კორტი.

ანტარქტიკის ცენტრალურ ნაწილში, სამხრეთ პოლუსის ირგვლივ მდებარეობს ხმელეთის მეექვსე ნაწილი ანტარქტიდა, რომელიც თითქმის მთლიანად მოქცეულია პოლარული წრის შიგნით. ის 1820 წლის 16 (28) იანვარს აღმოაჩინა რუსეთის ანტარქტიკულმა ექსპედიციამ, რომელიც მოეწყო 1819-1821 წლებში, გამოჩენილი ზღვათმოგზაურების თ. თ. ბელინსგაუზენის და მ. პ. ლაზარევის ხელმძღვანელობით. ამ აღმოჩენით რუსეთის ზღვაოსნებმა გადაწყვიტეს უდიდესი მნიშვნელობის გეოგრაფიული ამოცანა. მათ პირველებმა დაამტკიცეს, რომ სამხრეთ პოლარულ წყლებში არსებობს კონტინენტი — ანტარქტიდა.

ანტარქტიდა წარმოადგენს მუდმივი თოვლითა და ყინულით დაფარულ კონტინენტს, რომლის ფართობი, სანაპირო ყინულებით, 14 მილიონ კვადრატულ კილომეტრზე მეტია.

ანტარქტიდა მდიდარია სასარგებლო წიაღისეულით. აქ აღმოჩენილია ოქრო, ვერცხლი, ტყვია, სპილენძი, თუთია, ქვანახშირი, ნავთობი, ურანის მადანი და სხვ. იგი წარმოადგენს მთიან მხარეს, რომლის საშუალო სიმაღლე ზღვის დონიდან 3.000 მეტრს უდრის. ანტარქტიდაში გვხვდება მაღალი მთაგრეხილები, რომელთა ცალკეული მწვერვალები 5-6 ათას მეტრამდე აღწევს.

ანტარქტიკის ჰავა უმკაცრესია მთელ დედამიწის ზურგზე. აქ თითქმის ყოველთვის ქრის ცივი ქარი, ხშირია სქელი ღრუბლები და ნისლი, ნალექები მხოლოდ თოვლის სახით მოდის. მის ხმელეთზე ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა დაახლოებით მინუს 25 გრადუსს უდრის, ზამთარში სიცივე ზოგ ადგილას 60-62 გრადუსს აღწევს, ზაფხულშიც კი (იანვარში) ტემპერატურა ნოლს ზევით არ ადის.

ანტარქტიკა ცნობილია თავისი მძლავრი ქარებით. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა ადელის მიწა, სადაც წლის განმავლობაში 340 დღე ქარიშხლიანია. ამ ადგილს „ქარიანობის პოლუსს" უწოდებენ.

ანტარქტიდა ყველაზე დაშორებული კონტინენტია. იგი სამხრეთ ამერიკიდან 1.000 კილომეტრზე მდებარეობს, ავსტრალიიდან 3.100 კმ-ზე, სამხრეთ აფრიკის კავშირიდან 4.000 კილომეტრზე. მეოცე საუკუნეში ანტარქტიკაში გაიგზავნა სხვადასხვა სახელმწიფოების 120-ზე მეტი სამეცნიერო ექსპედიცია. მიუხედავად ამისა, ანტარქტიდა მაინც მსოფლიოში ყველა კონტინენტზე ნაკლებად შესწავლილია. აქ ჯერ კიდევ ბევრი რამ აღმოუჩენელი და შეუსწავლელია. კონტინენტის სანაპირო ხაზი ჯერჯერობით მთლიანად ზუსტად არ არის აღნიშნული რუკაზე. აქ არის უზარმაზარი სრულიად შეუსწავლელი ადგილები, რომლებიც რუკაზე „თეთრი ლაქებით" არის აღნიშნული და თავიანთ მკვლევარს ელიან.

მსოფლიოს სწავლულებმა სრულიად დროულად დააყენეს ანტარქტიკის კომპლექსურ-მეცნიერული შესწავლის საკითხი.



დიზელ-ელექტრომავალი „ობი" ანტარქტიკულ ექსპედიციაში გავიდა.

რამდენადაც სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ორგანიზაცია ანტარქტიკაში მკაცრი კლიმატური პირობების გამო დაკავშირებულია მნიშვნელოვან სიძნელეებთან, საბჭოთა კავშირის სამეცნიერო ექსპედიცია ანტარქტიკაში მიემგზავრება ამჯერად უმთავრესად დაზვერვითი მუშაობის ჩასატარებლად და სამეცნიერო ბაზების მოსაწყობად. მთავარი საბჭოთა სამეცნიერო სანაპირო ბაზის მოწყობა გათვალისწინებულია ანტარქტიდის ნაპირზე — ნოქსის მიწის დასავლეთით, რომელსაც „მირნი" ეწოდება.

საერთაშორისო გეოფიზიკური წლის განმავლობაში ანტარქტიდაზე სხვადასხვა სახელმწიფო მოაწყობს 20-ზე მეტ სამეცნიერო სადგურს.

საბჭოთა ექსპედიცია მიმდინარე წლის 30 ნოემბერს კალინინგრადიდან ანტარქტიკაში გაემგზავრა ყინულებში ცურვისათვის აღჭურვილი სპეციალური საექსპედიციო გემით — დიზელ-ელექტრომავალ „ობით". (უახლოეს დროში გაემგზავრება დიზელელექტრომავალი „ლენა" და სხვა დამხმარე გემები). „ობი" ანტარქტიდის ნაპირზე მივა 1956 წლის იანვარში და გამონახავს გადმოსხდომისა და ბანაკისათვის მოხერხებულ ადგილს. კონტინენტზე გადასასხდომი და სამეცნიერო დაბის მოსაწყობი ადგილის გამოსაძებნად გამოყენებული იქნება სატრანსპორტო თვითმფრინავები და ვერტმფრინავები.

სამეცნიერო დაბის მოწყობისათვის ადგილის შერჩევა უდიდეს დაკვირვებასა და სიფრთხილეს საჭიროებს, ვინაიდან კონტინენტი დაფარულია სქელი ყინულის საფარით, ეს უკანასკნელი კი ნელა მოიწევს ოკეანისაკენ.

საცხოვრებელი სახლები გაკეთებულია სპეციალურად ექსპედიციისათვის. ისინი განსაკუთრებით მტკიცე და მყარია, გაუძლებენ ყოველგვარი სიძლიერის გრიგალის შეტევას. სამშობლოსთან რეგულარული რადიოკავშირისათვის ბანაკში მოეწყობა რვა რადიოსადგური. აქვე მოეწყობა რამდენიმე ასეული კილოვატი სიმძლავრის ელექტროსადგური.

ექსპედიციის მონაწილეთათვის დამზადებულია სპეციალური ტანსაცმელი და ფეხსაცმელი, რომელიც გამოდგება ძლიერი სიცივის, ქარიშხლისა და ყინულების პირობებში. ანტარქტიდაზე მიტანილი იქნება აგრეთვე სამას ტონაზე მეტი სურსათი. პროდუქტების ასორტიმენტი გულდასმით არის შერჩეული.

სამეცნიერო სადგურების მუშაობის პროგრამაში გათვალისწინებულია ფართო კომპლექსურ გეოფიზიკურ კვლევასთან ერთად მოახდინონ ზოგადი გეოგრაფიული შესწავლა. მოხდება სამეცნიერო ბაზების მიდამოს ყოველმხრივი შესწავლა (რელიეფი, ჰავა, ყინვარები და სხვ.), ჩატარდება სხვა სამუშაოებიც, რომლებიც დაკავშირებულია საველე სამეცნიერო პარტიების შორეულ გასვლასთან.

გადმოტვირთვის და უმთავრესი სამუშაოების დამთავრების შემდეგ გემებს დატოვებენ ანტარქტიდის ნაპირს. საექსპედიციო გემი „ობი" უკან გამობრუნებისას შეასრულებს ფართო ოკეანოგრაფიულ სამუშაოებს. ერთი წლის შემდეგ საბჭოთა გემები ხელახლა ესტუმრებიან ანტარქტიდის სამეცნიერო სადგურ „მირნის", მიიყვანენ იქ პოლარელების ცვლას, შეავსებენ სურსათისა და საჭურვლის მარაგს.

საბჭოთა ექსპედიციის შემადგენლობაში შედის საავიაციო რაზმი, რომელიც შედგება რამდენიმე „ИЛ-12" ტიპის მძიმე თვითმფრინავისაგან, პატარა ერთმოტორიანი „ЛИ-2" დასაზვერი და მეკავშირე თვითმფრინავისაგან და ორი მძლავრი ვერტმფრინავისაგან. რაზმის უფროსად დანიშნულია ცნობილი პოლარული მფრინავი, საბჭოთა კავშირის გმირი ი. ი. ჩერევიჩნი.

საავიაციო რაზმს განსაკუთრებით დიდი მუშაობის გაწევა მოუხდება კონტინენტის სიღრმეში ორი სამეცნიერო სადგურის მოწყობისას. ისინი მოახდენენ შორეულ დაზვერვითს ფრენას, შეასრულებენ აეროფოტოგადაღებას და სხვა სამუშაოებს როგორც დღისით, ისე პოლარულ ღამეში. (აქ მომუშავე ყველა სახელმწიფოს ექსპედიციებიდან თვითმფრინავებს გამოიყენებს ორი — სსრ კავშირისა მთელი წლის განმავლობაში და ამერიკის შეერთებული შტატებისა ზაფხულის პერიოდში).

საერთაშორისო გეოფიზიკური წლის გეგმის თანახმად, გარდა მთავარი საბჭოთა სანაპირო სადგურისა, უნდა შეიქმნას კიდევ ორი საბჭოთა სამეცნიერო სადგური „ვოსტოკი" და „სოვეტსკი". პირველი მათგანი მოეწყობა მთავარი ბაზიდან ათასი კილომეტრის დაშორებით, სამხრეთი გეომაგნიტური პოლუსის რაიონში. ის მუშაობას დაიწყებს 1956 წლის ბოლოს. მეორე სადგური მოეწყობა ე. წ. ანტარქტიდის „მიუვალობის პოლუსის" რაიონში. კონტინენტის ამ ნაწილს განსაკუთრებით მკაცრი პირობები ახასიათებს. იგი ზღვის დონიდან 3.000 მეტრზე მეტ სიმაღლეზე მდებარეობს, სადაც ზამთარში ტემპერატურა მინუს 60-70 გრადუსამდე იქნება.

ამ სადგურებზე საცხოვრებელ და სამუშაო ბინებად გამოყენებული იქნება დასაშლელი სახლები, რომლებსაც კარგი შეფასება აქვთ მიღებული არქტიკის მოდრეიფე სადგურების მონაწილეებისაგან.

საერთაშორისო გეოფიზიკური წლის პროგრამის მიხედვით ანტარქტიკის კვლევის მონაწილე როგორც საბჭოთა, ისე სხვა სახელმწიფოების სწავლულები 1957 წლის ივლისიდან 1958 წლის ბოლომდე ერთდროულად მოახდენენ ამ მხარის შესწავლას თანამედროვე ერთნაირი ხელსაწყოებითა და მეთოდებით (კლიმატოლოგიური, გეოლოგიური, დედამიწის მაგნეტიზმის, პოლარული ნათების, იონისფეროს მზის რადიაციის, კოსმიური სხივების, გლაციოლოგიური, ოკეანოლოგიური და სხვა დაკვირვებანი). გამოვლინებული იქნება ბუნების ბევრი მოვლენა, ახალი მონაცემებით გამდიდრდება მსოფლიო მეცნიერება.

საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ანტარქტიკული კომპლექსურ-მეცნიერული ექსპედიციის მონაწილენი, სხვადასხვა სპეციალობის გამოჩენილი სწავლულები და გამოცდილი პოლარელები დიდი ენთუზიაზმით და გულმოდგინებით მოემზადნენ ამ საპატიო ექსპედიციისათვის.

საბჭოთა კავშირის სწავლულებს დიდი გამოცდილება აქვთ მიღებული რთული და დიდი ექსპედიციების ჩატარებაში. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ საბჭოთა ანტარქტიკული ექსპედიციაც ბრწყინვალედ შეასრულებს ამ ურთულესი ექსპედიციის წინაშე დასახულ ამოცანებს, ახალი გამარჯვებით წარსდგება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მთავრობის წინაშე.

გ. ჩანგაშვილი.

ძმები ილიკო, გიორგი, და დარიკო რუსიშვი- ლები იუწყებიან
**ნინო გრიგოლის ასულ რუსიშვილის**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 8, 9-XII, 8 ს. გ- მოსვენება 10-XII, 4 ს. ბელინსკის ქ. № 7.

მეუღლე ელენე, შვილები მარგალიტა, და- კო, სოსო ოჯახებით იუწყებიან
**სერგო სამსონის-ძე დევდარიანის**
გარდაცვალებას. დაკრძალვა 10-XII სოფ. მ- რონწმინდაში (ორჯონიკიძის რაიონი).

დედა ანა, მეუღლე ნინო, შვილი შოთა, და ნ- დია, ძმა შალვა ოჯახებით იუწყებიან
**გრამიტონ იაკობის-ძე სილაგაძის**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 9, 10-XII, 7 გამოსვენება 11-XII, 3 ს. მუდმივი ჩიხი №

შვილები ევგენი, იოსებ, სანდრო ოჯახებ- იუწყებიან
**ტერეზი სიმონის ასულ ცხოიძის**
გარდაცვალებას. დაკრძალვა 10-XII სოფ. მ- წიეთში (ჩოხატაურის რაიონი).

დედა ნინო, ძმები ვანო, არჩილ, გივი ოჯახე- ბით იუწყებიან
**თამარ დიმიტრის ასულ ქებაძის**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 8, 9, 10-XII, 8 გამოსვენება 11-XII, 2 ს. ჩუღურეთის II შ- სახ. № 8.

მეუღლე ქსენია, შვილები კარლო, ლე- ძმები ვიქტორ, აპოლონ, გრიშა, ვალოდია, ალექსანდრა ოჯახებით იუწყებიან
**ლავროსი იუსტინეს-ძე კაშიას**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 9, 10-XII, 7 გამოსვენება 11-XII, 2 ს. გლდანის ქ. № 5

შვილები რაჟდენ, ლენა, ვენერა ოჯახებ- იუწყებიან
**გახა ნიკოლოზის-ძე შენგელიას**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 9, 10-XII, 7 გამოსვენება 11-XII, 4 ს. გოგებაშვილის შესახ. № 18.

შვილები ირაკლი, რომან, თინა, პეპელა ოჯა- ხებით იუწყებიან
**ნატა ნიკოლოზის ასულ ობოლაძე-საგანელიძის**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 8, 9-XII, 7 ს. გ- მოსვენება 10-XII, 4 ს. სვერდლოვის ქ. №

დედა მატრონა, მეუღლე ვერა, შვილები ნ- ლი, დოდო, ოთარ, დები ნადია, ქსენია, ელ- ნე, ძმა ბიძინა ოჯახებით იუწყებიან
**გრიშა ხიმონის-ძე აბესაძის**
გარდაცვალებას. დაკრძალვა 10-XII სოფ. აფენში (ლაგოდეხის რაიონი).

მეუღლე მარო, შვილები გოგი, დავით, სა- ვასილ ოჯახებით იუწყებიან
**სოფრომ სოფრომის-ძე არუდაშვილის**
გარდაცვალებას. დაკრძალვა 10-XII ქ. თელ- ში. გამოსვენება ბინიდან, ნინოშვილის № 44.

რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, ხამდივნოსი — 3-06-88, ტელეფონები განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის, პრესის მიმოხილვის — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20-43, კულტურისა და ყოფაცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნების—3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, კორესპონდენტთა ქსელისა და პარტბიუროსი — 3-57-61, ადგილობრივი და უცხოეთის ინფორმაციის—3-80-83, წერილების—3-73-24, განცხადებების მიღების — 3-51-81, გამომშვების—3-81-65, გამომცემლობის დირექტორის—3-65-41, სტამბის დირექტორის—3-77-70.

უე 06854

პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.